№ 6

ფასი 5 კაპ.

ცისკარი

ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქვირა, 21 ოქტომბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ცისკარი“

გამოდის 1907 წ. 16 სექტემბრიდან, ქვირაში ერთხელ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.

განცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის ადრესი: *Кутаисъ, редакція „Цискари“.*

შინაარსი:

ქუთაისი, 21 ოკტომბერი —ცისკარს. ლექსი ვ. ჩახრუხაძისა —ქართველი დეპუტატები.—ნადიმი დეპუტატის არჩევის წინადამეს, მზაკვარისა.—ტერ-იოსებ ამირაღოვი, X.—სხვადასხვა ამბები.—ნაწყვეტები წარსულიდან, ივ. გომართლისა.—საკვანძო, ნატუსალასი.—მარქსიზმის „კრიზისი“, შვარცისა.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, ფ. მ-ის.—კორესპონდენციები.

ქუთაისში

წიგნის მაღაზია

„იმერეთში“

იყიდება ახალი წიგნები: გამოცემა „კალმისა“.

„ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“,

ფასი 50 კ. და ყველა დანარჩენი მათი გამოცემანი

აქვე იყიდება;

გამოცემა „კოლხიდა“-სი

„ანარქიზმი“

ნ. ფ-სი. ფასი 30 კ.

„როგორ ცხოვრობდენ ძველათ ადამიანები“. ფ. 20 კ.

მაღაზიაში იშოვება თითქმის ყველა ქართული

გამოცემები.

მაღაზია კისრულობს იმერეთის ყველა პროვინციებში ზემო

ჩამოთვლილ წიგნების გაგზავნას ფასდადებით.

ქუთაისი, 21 ოქტომბერი.

მძიმე უიმედობამ შეიპყრო მთელი ეგრეთ წოდებული განათლებული საზოგადოება მას შემდეგ, რაც დეპეშებმა ყოვლათ უნუგეშო ცნობები გამოაქვეყნეს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ. დეპუტატთა უმრავლესობა არჩეულია და მათში, თუ დეპეშებს დავუჯერეთ, ორ მესამედზე მეტი ისინი არიან, ვინც, თავიანთ ვიწრო ინტერესების გულისათვის, ტაშს უკრავდა მთავრობას, როცა იგი ხალხის სისხლს ღვრიდა, და, რა თქმა უნდა, აწიც ტაშს დაუკრავს. თუ დღემდის მთავრობა განმარტოებული იყო და მხოლოთ ხიშტებით იცავდა თავის არსებობას, ახლო მომავალში მას გვერდში ამოუდგებიან შავრაზმელი დეპუტატები, ეს ვითომცდა ხალხის წარმომადგენელნი, და ხალხის სახელით არამც თუ დაადასტურებენ ყოველივე მას, რითაც მთავრობა ხალხს ანადგურებდა, არამედ, შეიძლება, კიდევ მეტიც აქნევიონ. იმის შიში, რომ, აწი, რა ბოროტებაც არ უნდა ჩაიდინონ ხალხის წინააღმდეგ, ყველა ეს მთავრობას კი არა, ხალხის წარმომადგენლებს მიეწერება, და ის ილიუზია მოიკიდებს ფეხს, ვითომ ყველა ეს ხალხის სურვილიაო,—აი სწორეთ ეს შიში ბევრს აფიქრებიებს: ისევ ისა სჯობია, სულ არ იყოს სახელმწიფო დუმაო.

ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ საფუძველს,

რომ სასოწარკვეთილებას მივეცეთ. არჩევნების გამოქვეყნებული შედეგი მოულოდნელი რამ არ არის: მთავრობამ იმ მიზნით შესცვალა, რევოლიუციონური გზით, 1905 წლის საარჩევნო კანონი, რომ ფართო ხალხის წარმომადგენლობა ერთი მუჭა მსხვილ მემამულეების და კაპიტალისტების წარმომადგენლებათ გადაექცია. მთავრობა, ეს გაბატონებულ კლასის საქმეთა მწარმოებელი კომიტეტი, სწორეთ ამ კლასის წარმომადგენელთაგან მოელოდა შველას, და აი 1907 წ. 3 ივნისის კანონით, თუ მას კანონი დაერქმევა, ისეთი საარჩევნო წესები მოაჭახრაკეს, რომ ყოველ საგუბერნიო კრებაზე, რომელიც დეპუტატს ირჩევს, მუშებს და გლეხებს, ერთათ, უფრო ნაკლები წარმომადგენლები ყავს, ვიდრე მსხვილ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, თუმცა მუშები და გლეხები ათასჯერ მეტი არიან, ვიდრე მეორენი. რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ყველგან, გარდა გამწარებულ განაპირა კუთხეებისა, უფრო იმათი წარმომადგენლები გასულიყვენ, ვინც მუდამ ჟამს იმასა ლოცულობს, ღმერთო, ისევ ძველი მთავრობა გვიცოცხლეო.

მარა ეს სრულიათ არ ნიშნავს იმას, რომ 130 მილიონი ხალხი—მუშები და უმწეო გლეხები--თავის წარმომადგენლებათ მიიჩნევს იმათ, ვინც ნამდვილათ მხოლოთ 130 ათას მსხვილ მემამულისა და ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველია. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მესამე დუმა, რომელსაც ხალხი, უნებურათ, დაუპირდაპირებს პირველსა და მეორე გარეკილ დუმას, კიდევ უფრო ღრმათ გაავლებს კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობის შეგნების კვალს და თვალს აუხელს ჩაგრულთ, რომ მათ მხოლოთ ბრძოლით შეუძლიათ თავიანთი ტანჯული მდგომარეობის გაუმჯობესობა და არა სხვის პირში შეჩერებით. ამ მხრით მესამე დუმას ჭკუის მასწავლებელი მნიშვნელობა ექნება, და, რუსული ანდაზის არ იყოს, ამ „ცუდსაც“ თავისი კარგი მხარე ექნება.

მართალია, მესამე დუმის შავრაზმელი დეპუტატები, მოვლენილნი 3 ივნისის საარჩევნო კანონის წყალობით, ერთ-ერთი რგოლია იმ რეაქციის ჯაჭვისა, რომელმაც, ფიზიკური ძალის საშუალებით, შეაჩერა რევოლიუციონური ხალხი, შეასუსტა მისი მაჯის ცემა, შეუძლებელი გახადა, ჯერ-ჯერობით მაინც, აქტიური გამოსვლა, მაგრამ გვანახვა ქვეყნების რევოლიუციის ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მომენტები, როცა რევოლიუციონური ხალხი შეჩერებულა, დაუსვენებია, ენერგია მოუკრეფია და მოლონიერებული ისევ შებრძოლებია სულის შემხუთველ პირობებს და შეუმუსრია იგინი? ასეთია დღეს რუსეთის მდგომარეობაც. წარმოუდგენელია, რომ ის ხალხი, რომელმაც შეიგნო არსებული წეს-წყობილების უსამართლობა, შეურიგდეს მას და გულ-დამშვიდებით იცხოვროს. ჩაიხედეთ იმ მუშის ან გლეხის გულში, რომელიც დღეს აქტიურათ ვერ მოქმედებს, და ადვილათ დარწმუნდებით, რომ იქ ღვივის უკმაყოფილების ნაპერწკალი, რომელიც თავის დროზე, შესაფერ პირობებში, გაძლიერდება, გენიათ გადაიქცევა და ნაცარ-ტუტათ აქცევს ყველა მათ, ვისგანაც იგი ახლა ასე უმოწყალოთ დაჩაგრულია.

ჩვენი ვალია ასეთ შესაფერ პირობების მალე დადგომას ხელი შევუწყოთ.

ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ.

ისევ შენ გეტრფი, გიმღერ, ცისკარო,
აღმოსავლეთის შვენებავ, თვალო!
თუმც ღრუბელი კვლავ გადაგეფარა,
მთელი სამკარო ბნელმა დაფარა;
მაგრამ მწამს ისევ გაიკაშკაშებ,
ოქროს ფერ სხივებს შეათამაშებ;
მიფანტ-მოფანტავ, გააქროპ წყვდიადს,
მოგვიახლოვებ ისევ განთიადს.

—

მაშ გამობრწყინდი, გამოკრთი მალე,
ტყე-მინდორ-ველი ააელვარე;
სხივთა ისრები სტყორცნე ბოროტ ძალს,
რომელიც გვიდებს მწუხარების ალს;
მიფანტ-მოფანტე, გააქრე ბნელი,
ის საზიზღარი, გულისა მკვლელი!

—

გვეყოფა ბნელში რაც რომ ვიარეთ,
ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ:
ვზიდეთ უღელი, ვზიდეთ ბორკილი,
ვიკვნეს-ვიტირეთ წელში მოხრილი;
ცრემლებთან ერთათ სისხლიცა ვღვარეთ,
ტოლ-ამხანაგნი დავასამარეთ.
აწ დროა გაქრეს შავი წყვდიადი
და ჩვენს ცაზე მზე ვნახოთ დიადი!

ᲗᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲩᲮᲠᲣᲮᲐᲫᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი დეპუტატები.

14 ოქტომბერს სასულიერო დუმის დეპუტატებათ ამოირჩიეს: თფილისის გუბერნიაში ნიკოლოზ (იგივე კარლო) სიმონის ძე ჩხეიძე და ქუთაისისაში — ეგვანი პეტრეს ძე გეგეჭკორი.

კარლო ჩხეიძე დაიბადა შორაპნის მაზრის სოფ. ფუთში 1863 წელს. სწავლა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც, შინაურ გარემოებათა გამო, გამოვიდა მე-8 კლასიდან. შემდეგ ნ. ს. ჩხეიძე ოთხი-ოდ მსმენელათ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც ერთი წელიწადი დარჩა, და 1889 გადავიდა სარკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში; აქედან სტუდენტების არეულობის გამო დათხოვნილ იქნა იმავე წელს. ამის შემდეგ ნ. ჩ—ძე დაბრუნდა სამშობლოში და ხელი მიჰყო თვითგანათლებას. იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა მარქსისტულ მოძღვრების შესწავლას, რომელიც საფუძვლიანათ შეითვისა, და ამის შემდეგ იგი შეიქნა ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ახალგაზდათა ამ ჯგუფისა, რომელსაც ჩვენში თავდაპირველათ „მესამე დასი“ დაერქვა, სოლო შემდეგ-ვი სოც.-დემ. პარტიათ გაიზარდა. კ. ჩხეიძე „მესამე დასის“ გამოცხადების დღიდანვე საკმაოთ ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქართულ მწერლობაში უმთავრესად იგი სწერდა გაზ. „კვალში“ სხვადასხვა ფსევდონიმით, უფრო ხშირათ-კი „ქართველი მკითხველის“ სახელით. ამ უკანასკნელი ფსევდონიმით მან დასწერა, სხვათა შორის, ცნობილი ბროშიურა „საუცხოო ნიმუში ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობისა“. მე-90 წლებში ნ. ჩხეიძე არჩეულ იქნა ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნათ, ამ თანამდებობაში ის დარჩა ოთხი წელიწადი და დაიმსახურა როგორც კარგი ორატორის, ისე საქმის კაცის სახელი. ამის შემდეგ ნ. ჩხეიძემ მთელი თავისი მოქმედება გადაიტანა სოც.-დემ. პარტიაში, სადაც დღეკანდლამდე განაგრძობს მოღვაწეობას და სხვათა შორის, სელმძღვანელობს სოც.-დემ. გაზეთებს. ნ. ჩხეიძე ცნობილია, როგორც ენერგიული და მეტათ მუყაითი მუშაკი, რაშიაც მას დიდათ ხელს უწყობს მისი საკმაოთ მდიდარი ცოდნა და გამოცდილება. ამასთან პარტია მას ცნობს თავის საუკეთესო ორატორათ, რის გამოც არა ერთხელ წამოუყენებია იგი პასუხ-საგებ სიტყვის წარმოსათქმელათ. ოფიციალურ ამის გარდა, ნ. ჩხეიძეს საკმაოთ შესწავლა ბევრი სხვა საპარლამენტო ღირსებაც: სიდინჯე, კამეჩრაობა და სხვა. *).

ევგენი გეგეჭკორი. ამს. გეგეჭკორი, სენაკის მაზრიდან, 27 წ. ასაკისა. მან მიმდინარე წელს დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი მოსკოვის უნივერსიტეტში. როგორც სტუდენტობის დროს, ისე შემდეგაც მუშაობდა პარტიაში; 1904 წელს დაპატიმრებულა ... კოოში სტუდენტების მოძრაობაში მონაწილეობისთვის. განვითარებული, ... და კაი მოდაპარაკე ყმაწვილია.

პროკოფი შერვაშიძე. ბათუმის, სოხუმის და ყარსის ოლქების წარმომადგენლათ ამორჩიეს თავადი შერვაშიძე. ამ დეპუტატის შესახებ იმის მეტი არა კიცით რა რომ იგი გენერალია, მოხუცებული და ერთოფ დიდი მემამულე. თავადი შერვაშიძე ბირველ დუმაშიაც იყო დეპუტატად და მაშინ თავი ისახელა მხოლოთ იმითი, რომ მჭერმეტყველურათ სდუმდა.

ნადიმი დეპუტატის არჩევნების წინალამეს.

ვერ წარმოიდგენთ, რა სასიამოვნოა, როდესაც იმყოფები რომელიმე საზოგადოებაში, სადაც შენ ვერ გხედავენ და შენს სიახლოვეს ვერა გრძნობენ, შენ კი ყველას ხედავ და ყოველივე მათი ნათქვამ-ნალაპარაკევი გესმის...

მიყვარს, საშინლათ მიყვარს ამ გარემოებაში ყოფნა და ჩემი უჩინმაჩინის ქუდის შემწეობით, რომლითაც დამაჯილდოვა ჩემმა ბატონმა ტარტაროზმა განსაკუთრებითი სამსახურისათვის, ხშირათ შევიჭრები ხოლმე სხვადასხვა დახურულ კრებებში, ოჯახებში, კერძო ბინებში, ვტყობილობ სხვადასხვა საიდუმლო—ხვაშიადებს და შემდეგ ცნობის მოყვარეთა გასახარათ და მესაიდუმლეთა გულის გასაბეთქათ ვამჟღავნებ და ვამზეურებ.

ამას წინათ, დეპუტატის არჩევის წინალამით, კატის ფოშტით ამბავი მომივიდა, რომ დავითს დიდი ნადიმი აქვს გამართული და ნადიმზე ყველა მისი თ ნამგრძნობი ვიბორშჩიკები ყავს მიწვეულია. მეც უცებ დავიხურე უჩინმაჩინის ქუდი, მოვახტი ჩემს ხატაურს და პირდაპირ დავითის დარბაზში შევგლიჯინდი. დარბაზში ხალხი ცოტა იყო, მარა ვინც იყო სულ დიდებული, ბრწყინვალ-ბრწყინვალე თავადები იყვენ. ამ ბრწყინვალეთა შორის მხოლოთ ერთი, ოთონათ წოდებული მოგენერალე აზნაური ერია. ბრწყინვალეთა შორის იყო უკანასკნელი ჩამომავალი ხვანეთის მთავრისა, სრულიად იალბუზის მფლობელი თავადი ოთარი, თავადი, მეგვარეთა მისთა მიქელაძეთაგან თავადათ არა ცნობილი, ორატორი თფილისა ქალაქისა ვლადიმერ, წინამძღომელი ზუგდიდის მაზრის დიდებულთა **ყარე** დიდებული აფაქია და სხვანი და სვანი.

დიდებულნი ესე თავადური ზდილობით დეპუტატობას ერთმანეთსა სთავაზობენ და თავადური ზდილობითვე ერთმანეთს უარს ეუბნებიან. თვითეულ მათგანს კი ცხადათ ეტყობოდა, რომ დეპუტა-

*) ჩვენი გზა, № 33.

ტობას არავითარ დიდებისთვის ერთმანეთს არ დაუთმობენ, რაც ნათლათ გამოირკვა კანდიდატების ბარათების დასახელების დროს. როცა ბარათები შეკრიბეს, აღმოჩნდა, რომ თვითეულ მათგანს თითო ხმა მოსვლოდა. ხელმეორეთ შეკრიბეს ბარათები, მარა რეზულტატი იგივე იყო.

— ბატონებო, ამ ბარათების კრეფას, სჯობია, გამოვიანგარიშოთ, სულ რამდენი ხმა იქნება ჩვენს მხარეზე!—წარმოსთქვა ერთმა უფრო ჭკვიანმა თავადმა.

ეს აზრი ყველას მოეწონა და შეუდგენ ანგარიშს. იანგარიშეს თავიდან, იანგარიშეს ბოლოდან, მერე ისევ თავიდან, შემდეგ კიდევ ბოლოდან, მარა თუთხმეტზე მეტი არ გამოუვიდათ და არა.

— როგორც ხედავთ, ბატონებო, ჩვენ თუთხმეტ ხმაზე მეტის იმედი არ უნდა ვიქონიოთ. ეს რიცხვი კი მეტათ მცირეა. ყველას კარგათ მოგეხსენებათ სოციალდემოკრატების ამბავი, ისინი ოცდა ათზე მეტს თავის „ვიბორშჩიკებს“ ჩამოყრიან და საშინლათ შეგვარცხვენენ; სჯობია სულ ნუ მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში; შევატანიოთ საგუბერნიო კომისიაში არჩევნებზე საჩივარი და სულ მოვასპობიოთ არჩევნები,—ბძანა თავმჯდომარემ.

მაშინვე აფრინეს ყოველი მხრისკენ კაცები მომჩივანის საშოვრათ, მარა, საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი, ერთი მომჩივანიც ვერ იშოვეს.

— ბატონებო!—ბძანებს ოთარი.—მარტო საჩივრითაც საქმეს არაფერი ეშველება. კარგათ მოგეხსენებათ, რომ სოციალდემოკრატებს თავისი კანდიდატები ტერორის საშვალებით ყავთ გაყვანილი, ხალხს თოფ-იარაღით აშინებენ, მთელი ქვეყანა წითელი ტერორით ყავთ შეკრული. **Quod ignis non sanat, ferrum sanat.** დიახ, სანამ ჩვენ წითელ ტერორს თეთრ ტერორს არ დავუპირდაპირებთ, ჩვენი საშველი არ იქნება, ისინი ყოველთვის დაგვამარცხებენ. დიახ, ბატონებო, ერთათ-ერთი ჩვენი საშველი ესაა, ტერორს უნდა მივმართოთ და მთავრობასაც დახმარება ვთხოვოთ; გახსოვდეთ, ტერორი ქუთაისიდან უნდა დავიწყოთ!..

— ბრავო, ბრავო! კნიაზ! ბრრრავო!!..—შელრიალეს დანარჩენებმა სიხარულით ორატორს.—ტეროორი! ტეროორი ქუთაისიდან!..

ამ ხმაურობასა და ღრიანცელზე ჩემს ხატაურს გამოელვიძა, ერთი მრისხანეთ დაიჭყავლა, იშვირა ფეხი და ღია ფანჯრიდან ქუჩაში გადაეშვა.

— ტეროორი, რა თქმა უნდა, ჩინებული საშვალებაა, მარა აშკარათ არ შეიძლება, ჩუმათ, ბატონებო, ჩუმათ! კონსპირაციაა საჭირო, არ უნდა გავახმიანოთ...—მელური, შემპარავი ეკლოთი აფრთხილებს კრებას თავადი ვლადიმერი. მე გულში მეცინება, მარა თავს ვიკავებ.

კრებამ ეს უკანასკნელი წინადადებაც მიიღო, მოიხადა თავისი მოქალაქობრივი ვალი და სავახშოთ სუფრას მოუსხდენ. მეც ძალზე მოშივებული გახლდით და въ дружомъ пиру похмеліе მომინდა. ერთ ახოვან მოხუც თავადს, რომელმაც ლანგარიდან საჭმელი კარგა ზორბათ გადმოიღო, უკან ამოვუდექ, არხეინათ გადავუყავ ხელი საინში და მადიანათ შევექეც. ჩემდა საუბედუროთ უცებ ყელზე ჯარის კაცი დამადგა. ფჩუ! წამომახველა და უცებ ყველანი ფეხზე წამოცვივდენ. შეიქნა ერთი ორონტრიალი! მე ნელნელა დარბაზის კარებიდან გამოვძვერ, მოვახტი ისევ ჩემს ხატაურს და თკალის დახამხამებაში შინ დავიბადე.

მზაკვარი.

† ტერ-იოსებ ამირალოვი.

13 ოკტომბერს, ქ. ქუთაისში, მოკლეს სომხების მოძღვარი ტერ-იოსები. მეორე დღეს დაშნაკელებმა გამოუშვეს ფურცელი, სადაც ნათქვამია, რომ დაშნაკცუტიუნის VI ცენტრალურმა კომიტეტმა სიკვდილით დასაჯა ტერ-იოსები, რომელიც ვითომ მთავრობის ხელში ბრმა იარაღათ იყო გადაქცეული და ცხადათ თუ ფარულათ ჯაშუშობდა, პროვოკატორობდა და წინ ეღობებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლთა. ქ. ქუთაისში, ტერ-იოსების დაკრძალვაზე დასასწრებლათ, ჩამოვიდა ჰინჩაკისტების ორი წარმომადგენელი. ამათ გამოურკვევიათ, რომ ტერ-იოსები ოპოზიციონური იდეების მატარებელი იყო; შეძლებისადაგვარათ მატერიალურ დახმარებას უწევდა თავისუფლებისათვის მებრძოლთ. მხოლოთ იმას კი ამჩნევდენ, რომ უფრო ს. დ. მოძღვრებას თანაუგრძნობდა, ვიდრე ვიწრო, შოვინისტურ დაშნაკელებისას. გამოირკვა ისიც, რომ ტერ-იოსებმა დაწვრილებით იცოდა როგორც დაშნაკელების, ისე ჰინჩაკისტების არა ლეგალური მოქმედება, იცოდა, ვინ იყვენ ადგილობრივ, ფოთში და ბათუმში, მათი ხელმძღვანელნი, იცოდა კიდევ ბევრი რამ, მაგრამ არა თუ ვინმე არ გაუცია, პირიქით, მთავრობის ხელში ჩავარდნილ პარტიულ მუშაკს ქუთაისში თავის გავლენიანი მდგომარეობით დიდ შემწეობას უჩენდა, არა ერთი გაუთავისუფლებია თავისი შუამდგომლობით როგორც ჰინჩაკისტები, ისე დაშნაკცაკანი. განსვენებული თურმე ისე შორს ყოფილა ჯაშუშობაზე, პროვოკატორო-

ბაზე და სხვა ხულიგანურ მოქმედებაზე, რომელშიაც მას ბრალს სდებენ დაშნაკალები, რომ, როდესაც ამას წინათ მისი მოკვლა განეზრახათ, მაგრამ შემთხვევით გადარჩენილა, ბოროტგამზრახველი მთავრობისათვის არ მიუცია, თუმცა უცვნია იგი, მხოლოთ იმ ყმაწვილის მშობლები დაუბარებია და უთქვამს, თქვენი შვილი დაარიგეთო.

ჰინჩაკისტები'ა სიტყვით, დაშნაკცუთიუნის ცენტრალურ კომიტეტს ბოლგარიაში გადაუწყვეტია, მოკლან ყველა ისინი, ვინც იმათ მოქმედებას წინ გადაეღობება, მათ მოძღვრებას უარყოფს, განსაკუთრებით თუ ეს სომეხი იქნა.

მიტომ მოკლეს ტერ-იოსები, რომ ის დაშნაკაკანი არ იყო თავის მიმართულებით, მისი სიმპატია ჰინჩაკისტების სომეხ მუშათა პარტიას ეკუთვნოდაო. ასეთია დაშნაკცაკანების ერთი ფრაქციის ,,ნოჩი დაშნაკცაკანები''-ს, ტაქტიკა, როელის სხვერპლი შეიქნა ტერ-იოსები, როგორც უფრო ფართო მსოფლ-შეხედულების სომეხი.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ძალათი-გაცხონებ ტაქტიკით დაშნაკცაკანები თავიანთ თავს იკლავენ, და სწორეთ მათზე ითქმის: ,,თუ ღმერთს კაცის დასჯა უნდა, პირველათ ჭკუას წაართმევსო".

X

სხვადასხვა ამბები.

— **ახალი მთავრობა.** ჩვენ გავიგეთ, რომ ქუთაისის გუბერნატორათ ინიშნება სლავოჩინსკი და დრ. გუბერნატორა კი-ცნობილი ტოლმაჩოვი.

—

შანტაჟი. დღეს ვინც გინდა და რა სახით არ გინდა შანტაჟისტობას ეწევა. ყოველივე წმინდა საქმეს უწმინდურთა ხელი ერევა და მით დიადი საქმის იდეია იბღალება. ამ ხელათ ქუთაისშიაც თფილისის პოლიტეხნიკუმის სასარგებლოთ ფული იკრიბება შავი ქვის საბჭოს მიერ. ზოგიერთ შანტაჟისტებს უსარგებლნია და ვითომდა ამ დაწესებულების მინდობილობით ფულს აგროვებს. მეორეგვარ შანტაჟისტს კი სხვა გზა აურჩევია. მას გაუკეთებია ქაღალდი ვითომდა რეალურ სასწავლებლის დირექტორის როსტომაშვილის ნებართვით, მისულა ქუთაისის საქალაბო ეპარქიალურ სასწავლებელში და იქ რამდენიმე თუმანი შეუგროვებია სასწავლებელში. ქაღალდების ქაღალდზე ხელი ეწერათ ეპისკოპოზ ლეონიდს, დეკ. ჭეიშვილს და სხ. აღმოჩნდა, რომ მ. როსტომაშვილს ერავინ არ დაუვალებია პოლიტეხნიკუმისთვის ფულის შესაგროვებლათ და მით უფრო ბ. შ—ია, რომელიც, როგორც გადმოგვცეს, აქვე არხეინათ დასეირნობს ბულვარზე. ყოჩაღ ამ ვაუბატონის გამბედაობას!.

—

კიდევ შანტაჟი. კბილის ექიმს დავით რიჟინაშვილს მისვლია ბარათი, რომლითაც მას ფულსა სთხოვენ სოც.-დემ. პარტიის სახელით; წერილს დასმული აქეს წითელი ბეჭედი ორუს. სოც.-დემ. მ. პ. სამხედრო-ტეხნიური ორგანიზაცია"; ბ. რიჟინაშვილს ავალებენ ფული სადღაც შავ. ქვესტ. ეკან შედვას, რომ იქიდგან ბარათის მიმწერმა წაიღოს. ასეთი წერილები სხვასაც მისვლია სხვა და სხვა დროს.

მეტია იმის თქმა, რომ ეს აშკარა ავაზაკობაა. სოც.-დემ. პარტია არავის ძალით არაფერს თხოვს. საჭიროა, რომ ყოველივე პარტიამ, რომლის სახელითაც შანტაჟისტები სარგებლობენ, სასტიკი ზომები მიიღოს იმათ ასალაგმავათ. მაგრამ თვით ისინიც, ვისაც ასეთი მოთხოვნა მიუვა, ვალდებულნი არიან არ შეასრულონ ეს მოთხოვნა და აცნობონ პარტიას ყოველივე ასეთი შემთხვევა.

—

მუქარა. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბ. ზდანოვიჩს, უსახელო წერილი მისვლია, თუ ამა და ამ დროამდე ჭიათურაში იაფ-ფასიანი სასადილოები არ გაგიხსნია, მოგკლავთო. სირცხვილი მათ, ვინც თავის ჯიბისათვის თუ კუჭისათვის ასეთ უმსგავსო მუქარას კადრულობს!

—

კანტორის გაცარცვა. 12 ოკტ. დამით ქურდ ბაცაცებს გამოუნგრევიათ დიმიტრი ბოკერიას ეზოდან „როსიისკოე ობშჩესტვოს" კანტორის საწყობის კედელი და გაუტანია ფართლეული საქონელი. მოუსწრიათ წაღება მხოლოთ რამდენიმე თოფისა და მომეტებული ნაწილი კი გამოტანილი დარჩენიათ ბოკერიას ეზოში რკინის კეტთან ერთათ. როგორც კვალი ჩანს, ქურდები ეზიკოვის სახლიდან არიან გადმოსული. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ეს შიგნიდან არის მოხერხებული იმ აზრით, ვითომ დიდძალი საქონელი გაიტანეს საწყობიდანო. ეს მესამეთ ემართება ამ კანტორას ამგვარი საეჭვო ხიფათი.

—

8 საათის სამუშაო დღე. ფინლიანდიის სენატმა დააკანონა რვა საათის სამუშაო დღე პურის მცხობელთათვის.



ნაწყვეტები წარსულიდან.*)

გრაკხების სიკვდილს შემდეგ რომაელთა სოფლებში ხშირათ მოხდებოდა ხოლმე უმიწაწყლო ხალხისა და მონების აჯანყება, მაგრამ რომის ბიუროკრატია ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ყველა უკმაყოფილო კუთხეებს, ხიმტებით, ცეცხლითა და საღრჩობელათი იცავდა თავის სიმდიდრეს და ხალხის აუტანელ სიღატაკეს. ამგვარი იყო სურათი საზოგადო ცხოვრებისა, როდესაც რომის ერთ პროვინციაში, გალილეაში, დაიბადა იესო ქრისტე. მაღალი ნიჭით, დიადი გრძნობით და კაცთმოყვარეობით აღსავსე. ქრისტემ მალე მიაქცია ყურადღება ცხოვრების უკეთესობასა და ხალხის გაჭირვებას და მოიწადინა ქვეყანაზე კეთილდღეობის და ბედნიერების დამყარება.

როდესაც მოსე წინასწარმეტყველმა ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა ქანაანში დასასახლებლათ, მან კანონები დასწერა და ყოველი ღონე

*) იხ. „ცისკარი" № 3.

მიიღო, რომ ახალ ქვეყანაში სიმდიდრესა და სიღარიბეს არ დაერღვია ებრაელების მყუდრო ცხოვრება და კმაყოფილება. ამისათვის მან შრომა სავალდებულოთ გახადა ყველასათვის. ებრაელების ადგილები მოსეს კანონებით დაყოფილი იყო თანასწორ ნაჭრებათ და თვითეული ნაჭერი ეძლეოდა თითო მოსახლეს. სესხში სარგებლის გამორთმევა აკრძალული იყო და, თუ ვინმე შვიდი წლის განმავლობაში ვალს ვერ გადიხდიდა, შვიდი წლის შემდეგ ვალი ეპატიებოდა. სახლკარისა და მიწის გაყიდვა აკრძალული იყო, მხოლოთ გადაცემა შეიძლებოდა ვადით. ყველა ამგვარი ზომებით მოსეს უნდოდა ქონებრივი თანასწორობის დაცვა ურიებში. სანამ ცხოვრების უმთავრეს წყაროს მიწის მუშაობა და მეყემსობა შეადგენდა, ამგვარი წესი არ ირღვეოდა და ხალხიც რიგიანათ ცხოვრობდა: არც ძალიან მდიდრები იყვენ, არც ძალიან ღარიბები და თავისი ლუკმა ყველას ქონდა. მაგრამ როდესაც ებრაელები სხვადასხვა ხალხს დაუახლოვდენ და ვაჭრობასა და მრეწველობას მიყვეს ხელი, მოსეს მიერ შემოღებული წესი მათთვის ძალიან სამძიმო შეიქნა: ვაჭრობა-მრეწველობისათვის საჭირო იყო ფული და სესხის აღება; კანონი კი ამბობდა: თუ მოვალემ შვიდი წლის განმავლობაში ვალი ვერ გადიხადა, მერე უნდა ეპატიოსო; ამავე დროს სარგებელი კანონით აკრძალული იყო და რის გულისათვის გაასესხებდა ამგვარ პირობებში ფულს ის, ვისაც ქონდა? არათუ სარგებლობას ვერ ნახავდა, ხშირათ ფულიც დაეკარგებოდა, რადგანაც შვიდი წლის შემდეგ ველარ გადაახდევინებდა! ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებამ და განვითარებამ მოითხოვა მოსეს კანონების დარღვევა, გაჩნდა სარგებელი, ფულის გასესხება, ყიდვა-გაყიდვა, თანასწორობა დაირღვა, გაჩნდენ მდიდრები და ღარიბები, სიმდიდრეს თან მოყვა ფუფუნება. მთავრობამ და მეფეებმა ხალხს შევიწროება დაუწყეს სხვადასხვა გადასახადებით, რამაც აჯანყება და ებრაელების სამეფოს დაყოფა გამოიწვია. ამას ზედ დაერთო რომაელთა ბატონობა და ქრისტეს დროს, იმის სამშობლოში აუწერელი სიღატაკე იყო. ქრისტეს რწმენით ბედნიერებასა და კმაყოფილებას ცხოვრება იმიტომ იყო მოკლებული, რომ ის დამყარებული იყო მტრობასა და ბოროტებაზე; თუ ამათ ნაცვლათ ცხოვრებას სარჩულათ დაედებოდა სიყვარული და სიკეთე, ბედნიერება და კეთილ-დღეობა ხალხში უსათუოთ განხორციელდებოდა. როგორ და რა გზით შეიძლებოდა ცხოვრების გადაკეთება სიყვარულისა და სიკეთის საძირკველზე? სარწმუნოების შემწეობითო, გადასწყვიტა ქრისტემ. თითქო სარწმუნოება არსებობდა; იყვენ მღვდელმთავარნი და მღვდელმსახურნი, დიდი სინაგოგა და პატარა სინაგოგები, საცა წირვა-ლოცვა, ღვთის ვედრება გაჩაღებული იყო და ფარისევლებს თავისი ღვთის მსახურებით საქვეყნოთ თავი მოქონდათ, მაგრამ საზოგადოებაში მაინც უთანასწორობა და სიღატაკე სუფევდა, ხალხი მაინც უბედური იყო. იმას რაც ქრისტეს დროს არსებობდა სარწმუნოების სახით, ქრისტე სარწმუნოებათ არა სთვლიდა,—ეს იყო მხოლოთ სიტყვა, სიტყვა და სიტყვა; ლამაზი ყდა უწიგნოთ, შვენიერი ჭურჭელი უშინაარსოთ, კოხტა სახლი უმდგმუროთ. სარწმუნოების შინაარსათ, ძირითად მხარეთ კი ქრისტეს მიაჩნდა მხოლოთ საქმე; ის ითხოვდა საქმიან სარწმუნოებას, სარწმუნოებას მოქმედს; ცარიელ სიტყვებზე დასვენებულ სარწმუნოებას ის სთვლიდა წარმართთა თვისებათ. ეკლესიებში მხოლოთ წარმართებს უყვართ ლოცვა მრავალსიტყვაობით; შენ თუ ლოცვა გინდა, კარი ჩაიკეტე შენს ოთახში და ფარულათ შეევედრე ღმერთს, მაგრამ იცოდე, რომ ეს არა კმარა: ღმერთს უნდა ემსახურო სულით და ჭეშმარიტებითო, ქადაგებდა ქრისტე. რაში გამოიხატება სულითა და ჭეშმარიტებით მსახურება? —ღვთის ნების ასრულებაში. ღვთის ნება კი რაში მდგომარეობს? იმაში, რომ ადამიანებმა ერთმანეთი შეიყვარონ—მტერიც და მოკეთეც, ერთმანეთისათვის იზრუნონ, ერთი მეორეს სიკეთე უყონ, ერთმანეთს დაეხმარონ, ერთიმეორეს გაუზიარონ ყოველიფერი და ხორცის მონა არ გახდენ. რატომ არის ღვთის ნება მაინცდამაინც ამგვარი და არა სხვანაირი? ღმერთი არის ყოვლათ სრული არსება, მაშასადამე ის არაფერში არ საჭიროებს; ადამიანი მან გააჩინა მხოლოთ ადამიანისავე ბედნიერებისათვის და ბედნიერება კი მხოლოთ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ადამიანები ერთიმეორეს შეიყვარებენ და ერთმანეთში სიკეთეს დასთესენ. მხოლოთ ღმერთი სულია და მას ყველა სულით უნდა ემსახუროს, სულით მსახურება კი გამოიხატება სიყვარულისა და სიკეთის საქმეში და არა ლოცვაში; ის ვინც თავის თავზე ფიქრობს, თავის საჭმელზე, სასმელზე, სახლზე, ადგილზე,—ერთის სიტყვით თავის ქონებაზე ზრუნავს, ის ხორცის მონაა, ეშმაკის მსახურია და არა ღვთისა,—აი ქრისტეს მოძღვრების დედა აზრი, ღმერთი ყველას მამაა, ყველა ღვთის შვილია და ამიტომ ყველა ტოლია, ყველა სწორი. ვინც ქრისტეს გზას მისდევს და სიკეთისა და სიყვარულის საფუძველზე აშენებს თავის ცხოვრებას, მას ღმერთი საიქაოს აჯილდოვებს ქრისტეს მოძღვრებით; ვინც ხორცის მონაა და თავის სიმდიდრეზე ფიქრობს, იმას საიქაოს ღმერთი

სჯის. ქრისტეს სარწმუნოება იყო სახარება ღარიბებისა; მდიდარი ქრისტეს მოძღვრებით ღმერთს არ უყვარს; სამოთხეში ღარიბი ლაზარე შედის, მდიდარს კი ფრიათ უჭირს სამოთხეში შესვლა. ქრისტე პირდაპირ აღიარებს: აქლემისათვის უფრო ადვილია ნემსის კურწში გაძრომა, ვიდრე მდიდრისათვის სამოთხეში შესვლაო. მდიდარ ჭაბუკს ქრისტე არიგებს: თუ გინდა, რომ სრული იყო, წადი, გაყიდე შენი საცხოვრებელი და ღარიბებს დაურიგეო. ეს და ბევრი სხვა ადგილები სახარებისა ამტკიცებენ, რომ ქრისტე იყო კომუნისტი. მისი მიზანი იყო, რომ ქონება ყველას საერთო ქონოდა, ყველას ერთმანეთისათვის გაეზიარებია თავისი შემოსავალი და ყველას სიყვარულითა და სიკეთით ეცხოვრა ერთმანეთში. მაშინ სიღატაკე და ფუფუნება მოისპობოდა, ხორცის მონობისაგან ადამიანი გათავისუფლდებოდა, ზნეობრივათ ამაღლდებოდა, ქვეყანაზე უსამართლობა და უთანასწორობა მოისპობოდა და ნამდვილი სასუფეველი დამყარდებოდა.

მტრებმა მოკლეს ქრისტე, მარა მისი საქმე მისმა მოციქულებმა განაგძეს; ისინი ცდილობდენ ნამდვილი კომუნიზმის განხორციელებას. სამოციქულოდან ვტყობილობთ, რომ იერუსალიმში დაარსდა ქრისტიანთა საზოგადოება, რომლის წევრებსაც კერძო საკუთრება არა ქონდათ და ყოველიფერი საერთო, საზოგადო იყო. ყოველი წევრი ყიდდა თავის მიწაადგილს და სახლ-კარს და აღებული ფული მოქონდათ მოციქულებთან. ქრისტიანობა სწრაფათ ვრცელდებოდა; მას თუ ღარიბები უერთდებოდენ პირველათ, შემდეგ და შემდეგ მდიდრებმაც მიიღეს, რადგანაც ძველი სარწმუნოება დაეცა და ქრისტიანობა კი თავისი ამაღლებული შინაარსითა და სიწმინდით ყველა პატიოსან ადამიანს იზიდავდა. მდიდრებისათვის მთელ თავის ქონებაზე ხელის აღება ძალიან სამძიმო იყო და ბოლოს იმითი დაკმაყოფილდენ, რომ თავის ქონების ნაწილს ეკლესიას სწირავდენ. ეკლესია პირველ საუკუნეებში ღარიბებს ძალიან ეხმარებოდა, მარა ეკლესია თანდათან იზდებოდა, ღარიბთა რიცხვი ბევრი იყო და ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდა. მდიდრებს მაშინ მხილება დაიწყეს პირველმა მამებმა. წმინდა კლიმენტი, ამბროსი, ვასილი, გრიგოლი დიდი, იოანე ოქროპირი ნამდვილი კომუნისტები იყვენ. სამართლიანობა ითხოვს, რომ ყოველიფერი ყველას ეკუთვნოდეს; კერძო საკუთრება უსამართლობის ნაყოფიაო,—ქადაგებდა წმ. კლიმენტი. დედამიწა ღმერთმა ერთნაირათ მიანიჭა, როგორც მდიდრებს, ისე ღარიბებს; მაშ რა უფლებით დაისაკუთრეთ ის მარტო თქვენ—მდიდრებმაო, სწერდა წმინდა ამბროსი. წმინდა ვასილი მდიდრებს ადარებს იმ კაცს, რომელიც თეატრში მივიდა, ყველა ადგილები დაიჭირა და სხვა აღარავინ მიუშვა; მდიდრები იმითი მდიდრდებიან, რომ სხვებს ართმევენო, სწერს ის. გრიგოლი დიდი კაცის მკვლელს ეძახის ყველა მდიდარს, ვინც თავის ქონებას გაჭირვებულებს არ უზიარებს და იოანე ოქროპირი პირდაპირ ქადაგებს კერძო საკუთრების მოსპობას და ქონების გასაზოგადოებას. ასე იქცეოდენ პირველი მამები, რომლებიც ქრისტეს პოლიციაში არ აგირავებდენ. როდესაც ეკლესია გაიზარდა და ქრისტიანობა თანდათან გადიქცა სახელმწიფო სარწმუნოებათ, თვითონ ეკლესიაში იჩინა თავი უფროს-უმცროსობამ, ბატონობამ, სიმდიდრემ და ფუფუნებამ. გაჩნდა სასულიერო მთავრობა, რომელიც თანდათან გაძლიერდა და გვერდში ამოუდგა საერო მთავრობას. სასულიერო მთავრობა წარბშეკრული იდგა, მარა საერო მთავრობამ გადახედა, გაულიმა. სასულიეროსაც წარბები გაეხსნა, სახე გაუბრწყინდა, თვალები აუთამაშდა და ორივემ ერთიმეორეს ხელი მისცეს. მაშინ უფროსმა ძმამ გაუზიარა თავის გულის პასუხი უმცროს ძამიას: „ხომ ხედავ, რა კაია კეთილი ცხოვრება! მარა შენი სახარების დედა აზრი მოსვენებას არ მაძლევს და დარწმუნდი, შენც დაგიკარგავს მოსვენებას; იქ მდიდრები და ქონება ურიგოთ არის ნახსენები და ხალხს აღელვებს; როგორმე შეალამაზე, ან გადააფუჩეჩე, ან ჩაუმატე,—ერთი სიტყვით ეს შენ უკეთ იცი; ხალხს თვალები ავუხვიოთ, მორჩილებაში ვიყოლიოთ, ეს ქვეყანა ჩვენ გავიყოთ და მოვიხმაროთ, საიქაო კი ხალხს დავუთმოთო“. ეკლესიაც შეუდგა უფროსი ძმის დარიგების ასრულებას და სახელი და დიდება იმის ძხნეობას,—სამაგალითოთ შეასრულა! განსაკუთრებით სახელი გაითქვა ამ მხრივ რომის ანუ კათოლიკეთა ეკლესიამ. წმინდა მამებმა დაიწყეს სახარების ჭეშმარიტი აზრის გადამახინჯება და ყალბი ქადაგება; ქრისტეს სიტყვები სიმდიდრისა და საკუთრების შესახებ პირდაპირ არ უნდა გესმოდესთო, უხსნიდენ ხალხს; ქრისტე მხოლოთ იმას ითხოვს, რომ მდიდარი ქონებამ არ გარყვნას, მას ღმერთი ახსოვდეს და გული მუდამ ზეციერკენ ქონდეს მიპყრობილიო. ყველა კმაყოფილი უნდა იყოს თავისი მდგომარეობით; და ქრისტე ავალებს ღარიბებს, რომ ისინი თავის ქონებას დაჯერდენ და მდიდრების საკუთრებას ხელი არ შეახონო და სხვ. და სხვ. განსაკუთრებით სახელი გაითქვა სახარების აზრის გადამახინჯებით წმინდა ავგუსტინმა მეხუთე საუკუნეში. ამავე დროს გაჩნდა სხვადასხვა ყალბი ადგილები, რომლებიც

სახარების დედა აზრს ამახინჯებდა და ქრისტეს სახელით ხალხს ავალებდა: მთავრობას უნდა ემორჩილოს, რადგანაც ყოველი მთავრობა ღვთისაგან დანიშნული არისო. მონები საიქაოს აპირებდენ განთავისუფლებას, უბედურები საიქაოს ელოდენ გაბედნიერებას და მშიერი ხალხი—საიქაოს გაძღომას! სასულიერო მთავრობაც ხალხს აქეზებდა: იუნჯეთ საუნჯეთა ცათა შინაო, და თვითონ კი ისე გულ, მოდგინეთ იუნჯებდა საუნჯეთა ქვეყანასა ზედა-რომ საერო მთავრობას გადააჭარბა ხალხის გაყვლეფაში! სასულიერო მთავრობამ ხელში ჩაიგდო აუარებელი მიწები და სიმდიდრე და, როდესაც მონების შრომა ყმის შრომით შეიცვალა, საერო მთავრობასთან ერთათ სასულიეროც მძიმე ტვირთათ დააწვა გლეხებს კისერზე.

Ივ. Ზომართელი.

(გაგძელება იქნება).

საკვანტო.

ბ. მათუსალა!

რომელი გაზეთებიც უნდა გადაფურცლო, მამაკაცების სიავესა და სიკეთეზე ბევრ რამეს ნახავ, მარა დედაკაცების შესახებ კი ვერაფერს. თითქო ისინი ქვეყანაზე არც კი არსებობდენ. საკვირველია სწორეთ ასეთი აბუჩათაგდება მთელი ნახევარი კაცობრიობის—შვენიერი სქესის. ვისაც თავი ცოტათი მაინც პროგრესისტათ მოაქვს, დაგარწმუნებთ, რომ ის თავგამოდებული დამცველია ქალების ემანსიპაციის, მარა საქმით კი არავის ახსოვს. ჩემი ფიქრით ქალების ასე დავიწყება დიდი უსამართლობაა, ყოველად შეუნდობელი დანაშაულია ჩვენი პრესის! ამ ნაკლის ოდნავ მაინც შესავსებათ უმორჩილესათ გთხოვთ დამითმოთ ხანდახან თქვენი „საკვანტო", რომ მივუზღო მათ ღირსებისა მათისაებრ.

თქვენი მორჩილი ნატუსალა

—

სიამოვნებით ვუთმობ ჩემს „საკვანტოს" და მასთან ერთათ პასუხის გებასაც ბ. ნატუსალას, მე კი... მე ღმერთმა დამიფაროს ქალების შარისაგან!!.

მათუსალა.

—

მკითხველო, შეიძლება ქ.-ბ. ხოჯივანოვის პროგიმნაზიაში შეგიხვდეთ შესვლა. გაფრთხილებ, თუ წვიმიანი დღე იქნეს, ან მიწა ცოტათი მონამული—არამც და არამც ფეხზე უკალოშოთ და ჯიბეში „უტრიაპკოთ„ სასწავლებლის კარებში ცხვირიც არ შეყოთ, თუ არ გნებავთ უკან ცხვირით გამოგაბრუნონ...

ამ შვიდიოდ წლის წინეთ ქ.-ბ. ყაუხჩევის ასულმა ქ. ქუთაისში გახსნა საქალო [illegible] პროგიმნაზია, საზოგადოთ სასწავლებლებით- და განსაკუთრებით საქალო სასწავლებლებით ღარიბ ქალაქის მკვიდრთ აღდგომა გაუთენდათ. პროგიმნაზიას მთხოვნელი იმდენი მიაწყდა, რომ ბევრი უადგილობის გამო უკან გამოისტუმრეს. ამ გარემოებამ ბევრს აუშალა საღერღელი. ვგონებ, არ დარჩენილა ჩვენში ისეთი დაბა-ქალაქი, სადაც ამგვარი პროგიმნაზია არ გახსნილიყო. საღერღელი აეშალა ქ.-ბ. ხოჯივანოვის ასულსაც... მან მეორე წელსვე გახსნა ამგვარი პროგიმნაზია და სწავლის ქირათ გამოაცხადა თითქმის იმის ნახევარი, რასაც პირველ პროგიმნაზიაში ახდევინებდენ. კონკურენციამ გასჭრა და უფრო ხელმოკლე ქალები პირველ პროგიმნაზიიდან ქ.-ბ. ხოჯივანოვთან გადმოვიდენ. ამასთან დიდძალი საწყალი ხალხის ქალი მოაწყდა ახალ სასწავლებელს... ლიზა და სოფო სიამოვნებით ხელებს იშმუშნიდენ... თავდაპირველათ ისინი ყველას არწმუნებდენ, რომ ეს სასწავლებელი მათ ხელმოკლე, საწყალი ხალხისთვის გახსნეს, არავითარ ქანქარის მოყვარეობის გრძნობას მათ გულში ადგილი არ აქვს. ჩვენც გვჯეროდა მათი სიტყვები და ჩვენს ქალებს სიამოვნებით ვაბარებდით. ერთ ხანს სასწავლებლის პატრონნი თავის მოსწავლეებს დედა-შვილურათ ეპყრობოდენ. მარა...

გავიდა ხანი,
ეს ორნი დანი
ქანქართ ჩხრიალმა სრულათ შესცვალეს.
მათნი ალთქმანი
ფიცით ნათქვამნი
ბრჭყვიალა ოქროს მათ ანაცვალეს.

დიახ, იმ ოხერი ქანქარის ჩხრიალმა მალე მთლათ გამოცვალა ჩვენი კეთილის მყოფელნი. გაიბერენ, გაზვიადდენ, უმატეს სასტიკობას... დიდი მოძრაობის დროს, უჩენიკები რომ ბუნტობდენ, ერთი პატარა ბუნტი ამ სასწავლებელშიაც მომხდარიყო, მოსწავლეებს თავის ნაჩალნიკისათვის მოთხოვნა წარედგინათ. მოთხოვნაში თურმე აი რა ეწერა: „ჩვენ თუ გვკითხავთ, სულ არ გვინდა საღვთო სჯულის სწავლება, მარა, თუ ეს აუცილებელია, ხეირიანი მასწავლებელი მაინც დაგვიყენე, ნაცვლათ დიაკვანი ხაჟომიასაო ეს იყო და ეს. მოსწავლეები რიგიან მასწავლებლის დაყენებას თხოვდენ თავის უფროსს, მარა ამ სამართლიანმა მოთხოვნამ უსამართლოთ გაარისხა ნაჩალნიკა და მან გასათხოვრათ მოწიფულ ქალებს, ვითომ ბუნტის მოთავეებს, ყვრიმალსა შიგან არა დედობრივი „ვნჯშენიით" უკან წაალებია მათი მოთხოვნა და ერთხელ და სამუდამოთ მოსპო ბუნ-

ტისა და პროტესტის „დუხი“ თავის სასწავლებელში. მართალია, ბევრი ძალიან უკმაყოფილო იყო მათი საქციელით, მარა სად უნდა წასულიყვენ. მოსწავლეები მაინც ემატებოდათ და ემატებოდათ. თუმცა საკლასო ოთახებს უმოწყალოთ ტენიდენ და მოსწავლეებს მოსწავლეებზე აჯენდენ, მარა მაინც ვერ დატიეს და იძულებული გახდენ ადგილი შემოემატებიათ და შენობა გაეფართოებიათ. ვითომ რატომაც არ შემოიმატებდენ, უსახსრობა დაუშლიდათ თუ? ადგილიც შემოიმატეს და სახლიც გააფართოეს, შეღებეს და გააპრიალეს.

თუ გააფართოეს და შეღებეს ეს არ სჯობია, მოსწავლეები უფრო ხალვათათ იქნებიანო, შეიძლება სთქვათ. – სჯობია, მარა ვერ სჯობია! და აი რატომ: საკლასო ოთახები ახლაც ძველებურათ გამოტენილია მოსწავლეებით, ხოლო შეღებილმა იატაკმა ლამის ფეხი ამაკვეთიოს ამ სასწავლებლიდან იმ საწყალი ღარიბი ხალხის შკილებს, რომელთათვისაც თითქო გახსნეს ის ამ ქველმოქმედებმა. ვისაც ამ სტრიქონების სინამდვილეში ეჭვი შეუვიდეს, ცოტა შრომა მიიღოს თავის თავზე და ერთ წვიმიან დღეს შეშის მოედანზე გაიაროს, იქ, დარწმუნებული ვარ, არა ერთსა და ორ ატირებულ ქალს შეხვდებით სასწავლებლიდან შინ გაბრუნებულს. თუ ცოტაოდენ შრომას კიდევ მიიღებთ და ტირილის მიზეზს კითხავთ, პასუხათ შემდეგს მიიღებთ: „უკალოშობის გამო სასწავლებელში არ შემიშვესო!“ ასე სავალდებულოთ გაუხდია ამ საწყალი ხალხის მოამაგეს წვიმაში კალოშების ტარება და დარში ფეხიდან მტვერის გასაწმენდათ „ტრიაპკები.“ ყველას, ვისაც ერთი ან მეორე არ ექნება, კლასიდან ქისტის კვრით ერეკებიან და სწავლას აცდენენ. როგორც ამბობენ, არა ერთი და ორი მშობელიც გამოუბძანებიათ კარში, რომელნიც თავიანთ შვილების ამბის გასაგებათ უკალოშოთ შესულან სასწავლებელში.

წინეთ ზაფხულობით თუ ქუთაისიდან ამ ქალბატონებს ფეხიც არ გაუდგამთ, ახლა კი ამ სასწავლებლის წყალობით პიატიგორსკი და ესენტუკიც აღარ მოსწონთ და მერმის ევროპის კურორტში აპირებენ ზაფხულის გატარებას, რა გაუჭირდათ, ერთი-ორი ტომარი იყიდონ, კარებთან დააგდონ, რომ ზედ მოსწავლეებმა ფეხები დაიწმინდონ და შეღებილი იატაკები არ დაუსვაროონ. ამ უბრალო საშვალებით ისინი საკლასო ოთახების სიწმინდესაც დაიცავენ და ღარიბ მშობლებსაც ზედმეტ ხარჯს ააცილებენ.

როგორც ამბობენ, ვერც მასწავლებელნი უნდა ყავდეს მათ მადლიერი. იმ აუტანელ შრომაში, რომელსაც ისინი ეწევიან, თურმე მეტათ მცირე სისყიდელს იღებენ. თვითეული მათგანი 10-დან 20 მანეთამდის იღებს თვეში ჯამაგირს. [illegible] ამაზე შემდეგ.

ნატუსალა.

მარქსიზმის „კრიზისი“.

როცა მეცნიერულ სოციალიზმის მამათ-მთავარმა და დიდებულმა მეცნიერმა, კ. მარქსმა, 14 მარტს 1883 წ. სამუდამოთ დახუჭა თვალები, მაშინ მარქსიზმი საზოგადოთ საკმარისათ იყო გავრცელებული ხალხში. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მარქსის ინტერნაციონალური სოციალიზმის მთელი სოციალისტური აზროვნება ქონდა დაპყრობილი, ვინაიდან ჩვენ ამის დასამტკიცებელი საბუთები არ მოგვეპოვება სოციალისტურ ლიტერატურაში. მარქსის სიკვდილის რამდენიმე წლის წინათ მარქსიზმის თეორიულმა და პრაქტიკულმა მოძღვრებამ თავის მეორე კრიზისი განიცადა. მისი პირველი კრიზისი უკვე 1848 წ. იყო, რომელიც წარსულ საუკუნის ორმოცდა რვა წლების კონტრ-რევოლიუციამ გამოიწვია.

თვით პირველ კრიზისის დაძლევის შემდეგაც მარქსიზმს ქონდა თავის აყვავების ხანა. ის, რაც დრო გადიოდა, იმდენათ მეტიდრო ნიადაგს პოულობდა, ფართოთ ვრცელდებოდა მასაში.

წარსულ საუკუნის მეორმოცე წლებში დადგა მთელ ევროპაში დიდებული ხანა სოციალისტურ აზროვნების და მუშათა კლასის დამოუკიდებელ მოძრაობის სწრაფი განვითარებისა. ასეთ ობიექტიურ პირობების განვითარებასთან ერთათ იზდებოდა მარქს-ენგელსის გავლენაც პროლეტარიატის დაწინაურებულ ნაწილზე. ინტერნაციონალურ კომუნისტთა კავშირი 1847 წელს შესდგა თავის ნამდვილ გზაზე და „კომუნისტური მანიფესტი“ თავის პარტიის პროგრამათ გაიხადა. და როცა 1848 წ. რევოლიუციამ იფეთქა, მაშინ მარქსი ცნობილ „ახალ რეინის გაზეთს“ ხელმძღვანელობდა, რომელიც მთელ რევოლიუციონურ გერმანიის მთავარ ორგანოთ ითვლებოდა.

მარქსიზმის სწრაფ განვითარებას ივნისის დამარცხებამ თითქმის რომ ბოლო მოუღო. რკინის ბორკილი დაადო: ის პირობები, ანუ ის ურთიერთობა, რომელიც მარქსიზმის რევოლიუციონურ მოძრაობის წინმსვლელობას ხელს უწყობდა, ორმოცდა რვა წლების ულმობელმა კონტრ-რევოლიუციამ ერთბაშათ მოსპო და გაანადგურა. მარქსმა არამც თუ მარტო თავისი პუბლიცისტური ორგანო დაკარგა გერმანიაში, პოლიცია-სასამართლოებმა მოს-

პო და მოშალა ყოველგვარი მისმიერ დაარსებული ორგანიზაციები; თვით დემოკრატიაც კი წინააღუდგა მას და სისტემატიურათ მუშაობდა მის „მავნე“ მოძღვრების მოსასპობათ.

მარქსმა ზურგი შეაქცია ემიგრანტთა სიზიზღარ ინტრიგანობას და კვლავ ენერგიულათ შეუდგა ახალ ძალების შეკავშირებას სოციალისტურ მოძრაობის განსაახლებლათ, რომლის იმედი მას თვით რეაქციის შავ-ბნელ დღეებშიაც კი არ დაუკარგავს-ამ შემთხვევაში მან მიზანს კიდეც მიაღწია. მესამოცე წლებიდან იწყება სოციალისტურ მოძრაობის ხელ-ახლათ აღორძინების ხანა. და აი ამ დროიდან-ვე იწყება მეორე პერიოდი მარქსიზმის აყვავებისა.

ახლა უფრო ღონივრათ, უფრო მეტის ძლიერებით გაზდილ-განვითარებული მუშათა მოძრაობა თხოულობდა, ობიექტიურ პირობების მიხედვით, მეტს კლასობრივ შემეცნებას და ორგანიზაციას, ვიდრე რევოლიუციის წინ. მარქსმა მას (მუშათა მოძრაობას) ეს ორივე მისცა. მართალია „ინტერნაციონალი“ მარქსს არ დაუარსებია და ეს არც შეიძლება ასეთი სოციალური კავშირი ერთი რომელიმე კაცის ნამოქმედარ-ნამოღვაწევი იყოს, მაგრამ მან შესძლო სხვადასხვა ძალების, სხვადასხვა ელემენტების, რომლებიც ძველ ინტერნაციონალში თავს იყრიდენ, მორიგებ-შეერთება და მათი ჰარმონიულათ ამოძრავება დასახულ მიზნის განსახორციელებლათ. მართლაც მარქსის მეოხებით „ინტერნაციონალმა“ მოიპოვა ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მოძრაობაში დიადი ძალა და ავტორიტეტი, რაიცა მას უმარქსოთ თავის დღეში არ ექნებოდა. „ინტერნაციონალის“ დაარსებიდან არ გასულა სულ რამდენიმე წელიწადი და მარქსმა გამოაქვეყნა ეპოქის შემქნელი წიგნი, „კაპიტალი“, რომელმაც ერთობ გააღრმავა მუშათა კლასობრივი შემეცნება, გააფართოვა პროლეტარიატის შეხედულება თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების ურთიერთობაზე. თუმცა 1864—1870 წ. მარქსიზმის აყვავების ხანა იყო, რომლის განმავლობაშიაც იგი გამარჯვების გზაზე სწრაფათ მიექანებოდა და იმორჩილებდა მუშათა მოძრაობას, მარა ამავე დროს იზდებოდა და ვითარდებოდა მისი მოწინააღმდეგე ძალებიც ბურჟუაზიული კლასები, რომელთა სიძულვილს მარქსისტულ მუშათა მოძრაობისადმი საზღვარი არ ქონდა. 1870 წ. იწყება პარიჟის კომუნის ამბოხება და 1871 წ. თავდება მისივე დამარცხებით. კომუნის დამარცხება ისეთივე საზარალო იყო „ინტერნაციონალისთვის“, როგორც 1848 წ. გერმანიის დემოკრატიის გალაშქრება მარქსიზმისათვის. ამ ხნიდან იწყება მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული კლასების შეხამის გადმონთხევა „ინტერნაციონალის“ ორგანიზაციის და მის ხელმძღვანელ კ. მარქსის წინააღმდეგ. რასაკვირველია არსებულ „ინტერნაციონალის“ ორგანიზაცია ბურჟუაზიულ გაბოროტებულ მოქმედებას შესაფერათ უსწორდებოდა, მათი განრისხება მას ვერაფერს ვერ აკლებდა, რომ თვით დემოკრატიულ ემიგრანტთა შორის ატეხილ უთანხმოებას, შინაურ პარტიულ ცხოვრებაში გაბატონებულ დეზორგანიზაციას, არ მოელოს მისთვის ერთხელ და სამუდამოთ ბოლო.

მარქსმა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მეტისმეტი გამოცდილებით და ხელოვნებით რამდენიმე წლის განმავლობაში შესძლო „ინტერნაციონალში“ სხვადასხვა ელემენტების, სხვადასხვა მიმართულების მორიგება, თავის გონებრივი ძლიერებით ის კაი ხანს ერთათ ათანხმებდა, კაი ხანს ერთათ ჰარმონიულათ ამოქმედებდა რომანიულ ქვეყნების პრუდონისტ-ბლანკისტებს, ინგლისის პროფესიონალისტებს და გერმანიის სოციალ-დემოკრატებს. მარა რაც დრო გადიოდა, როგორც ისტორიული ფაქტები გვეუბნება, „ინტერნაციონალში“ სხვადასხვა ელემენტების, სხვადასხვა მიმართულების მორიგება, შეთანხმებულათ მოქმედება—შეუძლებელი ხდებოდა. ინტერნაციონალის უკანასკნელ კონგრესზე (1870 წ.) ერთი მეორის უარმყოფელი მიმართულება გამოირკვა, დიდმა წინააღმდეგობამ თავი იჩინა, განსაკუთრებით აგრარულ საკითხის შესახებ. პრუდონისტები მედგრათ და ფანატიკურათ იცავენ წვრილ სასოფლო მეურნეობას და მამულ-დედულის კერძო საკუთრებას, უარყოფდენ მსხვილ წარმოების უპირატესობას, მიწის საზოგადოებრივ ანუ საერთო საკუთრებას.

მართალია „ინტერნაციონალში“ მარქსის მეოხებით ერთ ხანს კიდევ თვისდებოდენ ერთათ წინააღმდეგი ელემენტები, მარა პარიჟის კომუნის დამარცხების შემდეგ ეს მთლათ შეუძლებელი შეიქნა; „ინტერნაციონალის“ წევრთა შორის დამაკავშირებული ჯაჭვი გასწყდა და მთელი თავის სიძრიელით მარქსის წინააღმდეგ შურმა და უკმაყოფილებამ. გადმოხეთქა. ასეთ შურის და უკმაყოფილების ჩამომთესი გახლდათ მიხეილ ბაკუნინი, რომელმაც ხანგრძლივ ინტრიგების შემდეგ უარმყოფელი, არა მარქსისტული ელემენტები, ერთათ დააკავშირა, რასაკვირველია—საერთო პოზიტიურ მუშაობისთვის კი არა, როგორც ამას მარქსი ჩადიოდა, არამედ საერთო საქმის ჩაშლისათვის. მართალია ბაკუნინმა შესძლო თავის ინტრიგებით მარქსის „ინტერნაციონალის“ დაშლა, მარა ვერ შესძლო და ვერ მოახერხა სამაგიეროს დაარსება. ჰაგის კონგრესის (1872) შემდეგ „ინტერნაციონალი“ დაიშალა.

ამ ხნიდამ მარქსიზმის „კრიზისის“ მეორე ხანა იწყება. საფრანგეთში მთელი მუშათა მოძრაობა სრულიათ იქნა მოსპობილი, გაქრა ყოველივე კავშირები, ყოველგვარი ორგანიზაციები; სხვა რომანიულ სახელმწიფოებში სრული ანარქიზმი იყო გამეფებული, ინგლისში პროფესიონალები მაჩანჩალად აედევნენ ბურჟუაზიულ პარტიების პოლიტიკას, გერმანიაში იბრძოდენ ლასსალიანელები და ეიზენახელები. მარქსის უდიდესი ნაწარმოები, „კაპიტალი“, რომლიდანაც ავტორი მთელი სოციალისტურ აზროვნების გარევოლიუციონერებას მოელოდა, შეუმჩნეველად დარჩა. ასე, მესამოცდაათ წლების ბოლომ მარქსსა და მარქსიზმს თითქო იმედი გაუცრუვა.

მარა მალე ისტორიის მსვლელობამ ისევ მარქსის და მარსიზმის სასარგებლოთ გაიღიმა, მის სასარგებლოთ დაატრიალა ისტორიის ვითარება. ხელახლათ იწყება მარსიზმის აღორძინება, მარქსიზმის აწევა, მარა იმ განსხვავებით, რომ იგი ახლა მოვიდა ინგლის-საფრანგეთიდან კი არა, არამედ თვით გერმანიიდამ. გერმანიის მუშათა მოძრაობაზე, საზოგადოთ, პარიჟის კომუნის დამარცხებამ და ინტერნაციონალის დაშლა ისეთი ძლიერი და შემაფერხებელი გავლენა ვერ იქონია, როგორც საფრანგეთის მუშათა მოძრაობაზე. გერმანიის სახელმწიფოში, პრუსიაში, 1874 წ. გაისმა ხმა სოციალდემოკრატების საარჩევნო გამარჯვებისა და აი, ამ ხნიდამ იწყება გერმანიის სოციალდემოკრატების გოლიათური წინსვლა, რომელიც თვით „განსაკუთრებულმა კანონმა, სოციალისტების წინააღმდეგ გამოცებულმა, ვერ შესძლო მისი ოდნავ შეჩერება.

პრუსიაში სოციალდემოკრატების გამარჯვებას მალე ზედ მოჰყვა მარქსიზმის განმტკიცება საფრანგეთში, რომელმაც უკუ აგდო ანარქიზმი და ინგლისის ტიპის პროფესიონალური კავშირები. 1876 წელს ცნობილმა ჟულ გედმა, ლაფარგთან ერთათ, გამოსცა პერიოდიული ორგანო „Egalté“, 1879 წ. კი მარსელის კონგრესზე დაარსეს მარქსისტული მუშათა პარტია.

ამავე წლებში იწყება ბელგიაშიაც მუშათა მოძრაობის გაღვიძება, რომელიც პრაქტიკულათ ისეთსავე ნიადაგზე იდგა როგორც, გერმანიის სოციალ-დემოკრატია. 1874 წ. არსდება ბელგიაში სოციალისტური პარტია, რომელიც კლასთა ბრძოლის ნიადაგზე ლამობდა პოლიტიკურ უფლების ხელში ჩაგდებას, უკანასკნელი კი, როგორც ვიცით, პრაქტიპულ მარქსიზმის დამახასიათებელი თვისებაა. ამ ხნებში იღვიძებს ჰოლანდიის მუშათა მოძრაობა, რომელიც ჰააგის კონგრესის შემდეგ საღათის ძილით იყო შეპყრობილი. ჰოლანდიის სოციალდემოკრატების ფერეინებმა ამსტერდამში გერმანიის სოციალდემოკრატების პროგრამა მიიღეს. თვით ლენემაკშიაც 1870 წ. იღვიძებს სოციალდემოკრატიული მოძრაობა.

თითონ მარქსი მოესწრო ინგლისში მარქსისტულ სოციალიზმის აღორძინებას, აგრეთვე რუსეთის სამოცდაათიან წლების გმირულ რევოლიუციონურ მოძრაობას და მეოთხმოცე წლების პროლეტარიატის გამოლაშქრებას აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ. მარქსი მეტის-მეტი აღფრთოვანებით ადევნებდა თვალყურს რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობას და, რამდენათაც შეეძლო, პირადი რჩევა-დარიგებით მხარს უჭერდა მას.

მაგრამ მალე გარემოება ისევ იცვლება, სოციალდემოკრატების გაძლიერებას, მარქსიზმის ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებზე გავლენას წინ აღუდგა ეგრეთ წოდებული აკადემიელთა არმია, რომლებიც მთელი თავიანთი მესცნიერების ბატარეებით მიესიენ მარქსის „კაპიტალს“ და იწყეს მისი თავისებური კრიტიკა, მისი ავტორიტეტის ხალხში გაბათილება.

აი, აქედან იწყება მარქსიზმის ახალი „კრიზისი“, მისი ხელახლათ დროებით შეჩერება, რომელზედაც შემდეგ წერილში ვილაპარაკებთ.

შვარცი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

(ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. თფილისი, 1907 წ., გვ. 110, ფასი 40 კ.)

(დასასრული *).

საღი ისტორიული შეხედულების უქონლობასთან ერთათ, ბ-ნი ჯავახიშვილი ეკონომიური ისტორიის თითქმის სრულ გაუგებრობასაც იჩენს. ავტორი, მაგ., ამბობს: „შიგ საქართველოში ამ დროს (IX – XIII საუკ.) რასაკვირველია აღებ-მიცემა გაჩაღებული უნდა ყოფილიყო. საზოგადოთ ერთი **ხარებული ზრა არსებობს, ვითომც მეთვრამეტე საუკუნემდე საქართველოში „საოჯახო მეურნეობა“** (ალბათ ავტორს ნატურალური წარმოება აქვს მხედველობაში) **ეოფილიყოს**, ვითომც ყველაფერს, რაც კი ადამიანისთვის საჭირო იყო, თვითოეულ ოჯახში თავიანთვის ეკეთებინოთ. **ეს ზრა დიდი შეცდომაა.** საქართველოში თუნდაც იმ ხანას, რომელსაც ჩვენ ახლა ვიკვლევთ, არ მოიძებნებოდა

*) იხ. ცისკარი № 5.

ისეთი საგანი, რომელიც ბაზარზე არ ტრიალებდა, რომელიც სოფლადაც-კი არ გაყიდულიყოსო“ *) (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ამნაირათ ბ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ის აზრი, ვითომც საქართველოში მეთვრამეტე საუკუნემდე „საოჯახო მეურნეობა“, ანუ უფრო მართლა რომ ვთქვათ, ნატურალური წარმოება არსებობდა, დიდი შეცდომაა. ჩვენ მწერლობაში კი დღემდის თითქმის საყოველთაოთ მიღებულია ის აზრი, რომ საქართველოში ნატურალური წარმოების ხანამ გასტანა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე და მხოლოთ ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, ბატონყმობის გაუქმების, რკინის გზების გაყვანის და მრეწველობა-აღებ მიცემის განვითარების წყალობით ნატურალური წარმოება თანდათან დაეცა და ბოლოს სულ გაქრა, გარდა ზოგიერთ მიუვალ ადგილებისა, როგორიც არის ხევსურეთი, სვანეთი და სხვ. თუ ბ–ნ ჯავახიშვილს დავუჯერეთ, გამოვა, რომ ნატურალური წარმოება საქართველოში ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინეთ გამქრალა! სამწუხაროთ ბ. ჯავახიშვილი ჩვენ პირდაპირ არ გვეუბნება, თუ ნატურალური წარმოების ადგილი რა გვარმა წარმოებამ დაიჭირა. მარა მისი წიგნის ზოგიერთი ადგილები საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში, ე. ი. იმ დროს, როცა ევროპის მოწინავე ქვეყნებს ჯერ კიდევ ბარბაროსობისათვის თავი ვერ დაეხწვია, ჩვენში გარეშე მტრებისაგან სრულებით უზრუნველყოფილი ხალხი გასაოცრათ მრავლდებოდა, სახელმწიფო ხაზინას დიდძალი შემოსავალი ქონდა, აღებ-მიცემობა და მრეწველობა ფართოვდებოდა და მატულობდა, ხალხი გამდიდრდა, **გასაოცარი აუარებელი ფული ტრიალებდა საქართველოში**“ (გვ. 81, შეად. გვ. 73). ამ საუცხოვო სურათის შესავსებლათ საჭიროა მოვიყვანოთ აქ კიდევ ერთი ადგილი ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნიდან. „ახლა (დღევანდელ დროზეა ლაპარაკი) ყველგან მიწის სიმცირის ჩივილი გაისმის; მეცამეტე საუკუნეში უფრო მჭიდროთ ყოფილა საქართველო დასახლებული, მაშასადამე მიწის სიცოტავე უფრო მეტი იქნებოდა, აკი იყვენ კიდეც ამ დროს უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც მუშაობით**) ირჩენდენ თავსა; მხოლოთ რაკი მაშინ **აღებ-მიცემობა, ხელოსნობა და მრეწველობა განვითარებული იყო, უმიწობა ისე საგრძნობელი არ იქნებოდა, როგორც ახლა.** (გვ. 78) მაშასადამე გამოდის, რომ რვა საუკუნის წინეთ საქართველოში აღებ-მიცემობა და მრეწველობა ბევრათ უფრო ყოფილა განვითარებული, ვინემ დღეს, და ამიტომაც ავტორის აზრით, იმ დროს უმიწობა ისე საგრძნობელი არ იყო, როგორც დღეს, ვინაიდან უმიწაწყლო გლეხები, ე. ი. ბოგანო ხალხი, აღებ-მიცემობაში და მრეწველობაში პოულობდენ ქირაზე სამუშაოსო. ერთი სიტყვით, ბ-ნი ჯავახიშვილი მეთორმეტე საუკუნის წარმოებას ახასიათებს პირდაპირ კაპიტალიზმის ნიშნებით; ე. ი. გამოდის, რომ საქართველოში კაპიტალისტური წარმოება აყვავებული ყოფილა იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ ამის ხსენება სრულებით არ იყო. ამნაირათ აქაც ჩვენს საქართველოს პირველობა თურმე ეკუთვნის და ჩვენ კი ეს დღემდის არ ვიცოდით! ლაპარაკი არ უნდა, რომ ბ-ნ ჯავახიშვილის აღმოჩენა ერთობ დიდია. ადვილი შესაძლებელია, რომ ძველი დროის მოტრფიალენი, ქართველი პატრიოტები, ასეთი აღმოჩენისათვის მაინცა და მაინც მისი მადლიერი არ შეიქნებიან, ვინაიდან იმათ სხვადახვა მიზეზების გამო ძლიერ არ უყვართ კაპიტალიზმი. მარა ეს სულ სხვა საქმეა. სამაგიეროთ ჩვენ შეგვიძლია გავახაროთ ჩვენი პატრიოტები მით, რომ ეს „აღმოჩენა“ მხოლოთ ბ-ნ ჯავახიშვილის ოცნების ნაყოფია და მეტი არაფერი. რომ ძველმა საქართველომ სრულებით არ იცის კაპიტალიზმი, ე. ი. აღებ-მიცემობის და მრეწველობის აყვავება, რომელზედაც ბ-ნი ჯავახიშვილი ასეთი რიხით მოგვითხრობს. საკვირველია, როგორ მოხდა, რომ ბ. ჯავახიშვილმა, რომელიც ყოველთვის მზათ არის ქართველი პატრიოტის გული გააბაროს, თუ „გენიოს მეფეთა“ ნამოლვაწევით, თუ ძველი ქართველების სამაგალითო ცხოვრებით *), მოულოდნელათ ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა ძველ საქართველოს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ მაინც უნდა ვიცოდეთ, სახელდობ: რამ მისცა საბამი ბ-ნ ჯავახიშვილს კაპიტალისტური წარმოება აღმოეჩინა ძველ საქართველოში? ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ამისთვის ბ-ნ ჯავახიშვილს არავითარი სერიოზული საბუთი არ ქონებია, და არც შეიძლება რომ ქონებოდა, ვინაიდან ასეთი საბუთი არსად არ მოიპოვება. მარა, სამაგიეროთ, ავტორს ქონდა ცნობები იმის შესახებ, რომ ძველ საქართველოში აღებ-მიცემობა არსებობდა, იყო საქონლის გაცვლა-გამოცვლა. ავტორმა აქედან ჯერ ის ყალბი დასკვნა გამოიყვანა, რომ რაკი საქონლის გაცვლა-გამოცვლა არსებობდა, ამიტომ ნატურალუ-

*) „საქართვ. ეკონომ. ისტორია“, გვ. 31.

**) გამოდის, რომ დანარჩენი გლეხ-კაცობა, რომელსაც მიწა-წყალი ქონდა, მუშაობით არ ირჩენდა თავს.

*) ავტორი სხვათა შორის ამბობს: ქართველებმა მაშინ (ე. ი. ძველათ) ბრძოლაც იცოდენ, ცხოვრებაც და სასოწარკვეთილებაში არასოდეს არ ჩავარდებოდენ ხოლმეო“ (საქ. ეკონომ. ისტ., გვ. 67).

რი წარმოება (საიჯარო მეურნეობა), მისი აზრით, გამქრალი ყოფილა. ავტორს რომ ეკონომიური ისტორია შესწავლილი ქონოდა, ასეთი დასკვნის გამოყვანაში არ აჩქარდებოდა. საქმე იმაშია, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლა ჯერ კიდევ პირველ-ყოფილ კომუნიზმის დროსაც არსებობს, როცა ერთი თემი თავის ზედმეტ ნაწარმოებს უთმობს მეორე თემს ისეთ საგანზე, რომელიც მისთვის საჭიროა. სხვას რომ თავი დავანებოთ, საშუალო საუკუნოების ფეოდალურ ევროპაშიაც აღებ-მიცემობა საკმარისათ იყო განვითარებული, განსაკუთრებით იტალიის და ჰოლანდიის ქალაქებში, ბევრათ უფრო, ვინემ საშუალ საუკუნოების საქართველოში, მარა მიუხედავათ ამისა, იქ მხოლოთ საშუალ საუკუნოების დასასრულს იწყება ბრეწველობის, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების განვითარება, ე. ი. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საქმე ის კი არ არის, არსებობდა თუ არა წინეთ აღებ-მიცემობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა, არამედ ის, თუ რა როლს თამაშობდა ამა თუ იმ დროს აღებ-მიცემობა, შეადგენდა იგი თუ არა ცხოვრების დედა ძარღვს, როგორც. მაგ., ჩვენ დროშია ეს ასე, თუ მას მეორე ან მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აი სწორეთ ამ მნიშვნელობის დაფასებაში საშინლათ ცდება ბ-ნი ჯავახიშვილი. მისი აზრით, მეთორმეტე საუკუნეში აღებ-მიცემობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში პირველი ალაგი ეჭირა. იგი ამბობს: „რამდენათ უნდა ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფის დროს განვითარებული საქართველოში აღებ-მიცემობა უფრო იქიდან შეიძლება დავინახოთ, რომ **საუკეთესო მატყლი ვაჭრებს** საქართველოში ისეთ შორეულ ქვეყნიდან შემოქონდათ, როგორც ქ. ალექსანდრია იყო. ისტორიკოსი (?) მოგვითხრობს, რომ თამარ მეფემ „**იწყო ალექსანდრიათ ვაჭართაგან მიღებულისა მატყლისაგან** სთვად და ქმნათ შესამოსლისაო“ (ქარ. ცხოვრ., გვ. 453. აქ ხაზს თვით ავტორი უსობს). ცხადია რომ ასეთ შორეულ ქვეყნიდან საქონლის მომტანელ ვაჭარს დიდი შეძლება უნდა ქონოდა **და თვით მოთხოვნილებაც დიდი ყოფილა, თუ კი მოტანილი საქონელი თავის ხარჯს ფარაგდა და სარგებელსაც აძლევდა სოვდაგარს რაკი აღებ-მიცემობა მაშინდელ საქართველოში ასე წარმატებული და განვითარებული ყოფილა**“ *) და სხ. ვინც ამ ადგილს წაიკითხავს, იგი ალბათ იფიქრებს, რომ ალექსანდრიიდან იმ დროს საქართველოში შემოქონდათ ისე დიდძალი მატყლი, რომ მთელი ქართველი გლეხ-კაცობა თუ არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც იმით იმოსებოდა. ბ-ნი ჯავახიშვილი პირდაპირ ამბობს, რომ „თვით მოთხოვნილებაც (ე. ი. ალექსანდრიიდან მიღებული მატყლის) დიდი ყოფილაო“. მარა გამოდის კი ასეთი დასკვნა „ქართლის ცხოვრების“ იმ ადგილიდან, რომელიც მას მოყავს ამ აზრის დასამტკიცებლათ? ჩვენ ვამბობთ, რომ აქ ავტორს მეტისმეტათ გადაუმეტებია. „ქართლ. ცხოვრება“ მოგვითხრობს მხოლოთ იმის შესახებ, რომ თამარ მეფემ თორმეტი ძღვდლის შესამოსელი მოქსოვაო, მორჩა და გათავდა. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოთ ძვირფასი ნივთები ყოველთვის შორეული ქვეყნებიდან მოქონდათ, მარა ეს გარემოება სრულებით არ ამტკიცებს აღებ-მიცემობის ისეთ განვითარებას, როგორიც ეს წარმოდგენილი აქვს ბ-ნ ჯავახიშვილს. აღებ-მიცემობის განსავითარებლათ ისეთი პირობებია საჭირო, რომლებსაც ჩვენ ამაოთ მოვძებნით არათუ მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის საქართველოში, არამედ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიაც კი. აქ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ საუბარი ბ-ნ ჯავახიშვილის წიგნის შესახებ. რა თქმა უნდა, რომ ჩვენ აქ არ შეგვიძლია ამ წიგნის ყველა ნაკლულევანება და შეცდომები აღგვნიშნა; უამისოთაც წერილი გაგვიგრძელდა.

დასასრულ, ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ისეთ დროს, როცა ათასგვარი საჭიროება და თავსატეხი კითხვებია წამოყენებული, ჩვენ მისი ყურადღება ისეთ საგანზე მივაპყარით, რომელსაც მარტო თეორეტიული ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, საღ თეორიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში და აი იმიტომ ჩვენ მეტათ არ მიგვაჩნია თეორიასაც ყურადღება მივაქციოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ თეორიას რყვნიან და ამახინჯებენ. საზოგადოთ ცნობილია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება სოციოლოგიის და პოლიტიკური ეკონომიის დარგებში სრულებით გამოიფიტა. მარა, როცა ბურჟუაზიულ მეცნიერებას ზედ ერთვის კიდევ სამშობლოს ცრუ სიყვარული, რომელიც გამოიხატება წარსულის განდიდების სურვილში, და არა მეცნიერული თვალით მის გამოკვლევა-დაფასებაში, ამ შემთხვევაში ყოველგვარი საღი თეორიის, თუ მსჯელობის, ყოველგვარ ჭეშმარიტების გადამახინჯებას და შელახვას საზღვარი აღარ აქვს. ბ-ნ ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ამგვარი გადამახინჯების ერთ მაგალითს წარმოგვიდგენს. ჩვენ აქ იმას აღარ ვიმეორებთ, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ თვით ბურჟუაზიულ მეცნიერების თვალითაც კი უვარგისია.

ფ. მ.

*) გვ. 33.

ბათუმის ამბები.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქ. ბათუმში არსებობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახელობაზედ დაარსებული ქართული შკოლა.

შკოლას იდეურ ხელმძღვანელობას უწევს ხსენებული საზოგადოების გამგეობა, ხოლო მისი ნივთიერი მხრით ზრუნვა მინდობილი აქვს ადგილობრივ პირთაგან შემდგარ, ეგრეთ წოდებულ, სამზრუნველო კომიტეტს. დღემდის ამ კომიტეტში ითვლებოდა სულ 7 კაცი: გრ. ვოლსკი, გ. ჟურული, ე. ბერძენიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ნ. ს-ბაევი, დ. კლდიაშვილი და მ. ბეჟანოვი. უკანასკნელი კაი ხანია, რაც ბათუმში აღარ იმყოფება, გრ. ვოლსკიც ამ ხანებში თფილისში გადავიდა საცხოვრებლათ და ამნაირათ საჭირო შეიქნა კომიტეტის შევსება—განახლება. ამის გამო მოხდა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, სასურველათ იცვნეს კომიტეტის წევრთა რიცხვის ათამდის გადიდება და თან წევრებათ ქალების არჩევა. ამის თანახმათ აირჩიეს ხუთი ახალი წევრი: მარ. ელიავასი, ს. ნაკაშიძისა, ე. მდივნისა, ს. მდივანი და მამედ-ბეგ აბაშიძე, რომლებიც წ. კ. საზ. გამგეობამ უკვე დაამტკიცა. ათ ოკტომბერს მოხდა პირველი სხდომა განახლებულ კომიტეტისა. კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს ბ-ნი ჟურული და მის ამხანაგათ—ბ-ნი საბაევი. ახლო მომავალში მოხდება მეორე სხდომა. განსახილველათ დანიშნულია ბევრი საყურადღებო კითხვები. საზოგადოთ ახალ კომიტეტს ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი. შკოლის ქონებრივი მხარე არა სასურველ მდგომარეობაში იმყოფება, ხარჯები კი შკოლას ბევრი მოელის და დიდი მეცადინეობაა საჭირო, რომ შკოლის ნივთიერი მხარე, რომელთანაც მჭიდროთ შეკავშირებულია მისი იდეური წარმატებაც, ერთხელ და სამუდამოთ მკვიდრ ნიადაგზე იქნეს დაყენებული.

ვუსურვოთ ახალ სამზრუნველო კომიტეტს, რომ საკმაო შრომა, ენერგია და ხალისი გამოიჩინოს და ერთათ ერთი ქართული კულტურული დაწესებულება ბათუმში რიგიანათ მოაწყოს.

ბათუმის ქართველი საზოგადოება უკვე შეუდგა ილია ჭავჭავაძის პატივ-საცემლათ 27 ოკტომბერს განზრახულ ქართულ ლიტერატურულ საღამოს შესახებ თადარიგს. საღამოს პროგრამა შეიცავს რამდენიმე განყოფილებას სულ ილიას ნაწერებისაგან. საღამო გამართულ იქნება რკინის თეატრში. გარდა პოეტის მოგონებისა და მისი ხსოვნის პატივისცემისა, საღამოს მიზნათ აქვს ცოტაოდენი ფულის მოგროვება განსვენებული პოეტის ფრანგის ჯასადიდებლათ. ამ მიზნით, ბილეთების ფასს გარდა, შემოწირულებაც იქნება მიღებული. საღამო თავის შინაარსით, მოსალოდნელია, ძლიერ საინტერესო იქნება.

ზევარიკე.

სოფლის ამბები.

სამეგრელო. კვირას, 23 სექტემბერს, ს. მარტვილში, მამასახლისმა ხალხი მოიწვია. გლეხები ძლიერ ცოტა მოვიდენ. ამ ბოლო დროს გლეხები ნაკლებათ ესწრებიან პოლიციისაგან მოწვეულ კრებას: იციან, რომ პოლიცია მათ სასიამოვნოს არაფერს გამოუცხადებს გარდა ბიუროკრატიის მრისხანე და მკაცრ განკარგულებისა. გლეხების ასეთი „ჯიუტობა“ აცოფებს პოლიციას, მოთმინებიდან გამოყავს, კიდეც ამიტომ იყო, რომ დღეს მამასახლისი გაკაპასებული ეცა გლეხებს: როგორ ბედავთ, ასეთ-ისეთებო, გიბარებთ და არ მოდიხართ.

გლეხების მოლოდინი ამ შემთხვევაშიაც გამართლდა: მამასახლისმა გლეხებს გამოუცხადა ქუთაისის გენ.-გუბერნატორის განკარგულება, რომლის ძალით თითოეულ გაქცეულ სალდათისათვის სოფელი იჯარიმება ას-ასი მანეთით, ის ოჯახი კი, რომელსაც გაქცეული ეკუთვნის—300 მ. მამასახლისმა გამოაცხადა აგრეთვე გენ.-გუბერნატორის ბძანება, სოფლებში სტრაჟნიკები იყოლიეთო, მთავრობა თითოეულ საზოგადოებას ავალებს დაიქირაოს 10—15 სტრაჟნიკი, 25 მ. თვეში ჯამაგირით; ამ სტრაჟნიკების დანიშნულებაა ვითომდა სოფლის დაცვა ქურდ-ბაცაცებისაგან. გლეხები, დარწმუნებული არიან, რომ ეს სტრაჟნიკები ოდნავაც ვერ შეაფუსტებენ სოფელში ქურდობას და სულ სხვა მხრივ გაუწევენ რეაქციას სამსახურს. ამიტომ მათ ცივი უარი უთხრეს პრიგოვორზე. გლეხები ამბობდენ, ღარიბები ვართ, წელს შიმშილს თავი ძლივს დავახწიეთ, მომავალში უარესი დღე მოგველის და ამიტომ ამოდენა გადასახადს ვერ აუვალთო.

ამავე დღეს ნაგვაზეოს საზოგადოების ცნობილმა მამასახლისმა ი. მონიავამ ჩვეულებრივი მუქარით ხალხს სტრაჟნიკების მოთხოვნაზე პრიგოვორი დაადგენინა.

აი ის ზომები, რომელსაც ჩვენი ოპეკუნები ღებულობენ სამეგრელოში ხალხის კეთილ-დღეობის ასაყვავებლათ. ასე ფიქრობენ და მზრუნველობენ სოფლის ძალათ მაცხოვნე ბატონ-პატრონნი ტვირთმძიმეთა უღლის შემსუბუქებას!

ამას წინეთ მფრინავმა რაზმმა, აფიცრის ცომაიას მეთაურობით, სალხინოში გაინავარდა, შეიპყრო რამდენიმე კაცი (მათ შორის ერთი მედავითნეა) და ყველას ცივ ქვეყნებისკენ უკრეს თავი. დაჭერილების ჭირისუფლებმა გუბერნატორს სთხოვეს საქმის გამოძიება. ადგილობრივ ბოქაულის გამოძიებას; გამოურკვევია სრული უდანაშაულობა დაჭერილების, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც გააყოლეს უკანასკნელ ეტაპს. დაბეჯითებით ამბობენ, რომ რაზმი გამოწვეული იყო პრინცესა მიურატის მოთხოვნით და რაზმს ადგილობრივ ხელმძღვანელობას უწევდა ი. თოდუა (ეს უკანასკნელი დაჭრილი სალხინოში ჩამოიყვანეს და ჭრილობისაგან მალე გათავისუფლდება თურმე), რომელსაც პრინცესას მარცხენა ხელს ეძახიან (მარჯვენა ა. ბერიძეა). ორიოდე სიტყვა გაზ. „ისრის“ კორესპოდენტს.

ბ. ხიტა („ისარი“ № 101), ეხება რა ს. მარტვილში მომხდარ არჩევნებს, სწერს: „გლეხებმა აირჩიეს რწმუნებულათ ს.-დემოკრატი, ს.-დემოკრ. ცას სწვდებიან იმათ სიხარულს საზღვარი არა აქვსო“... უბადრუკი ფედერალისტები! ვისგან მოელოდა ს.-დემოკრატია ს მარტვილში საფრთხეს? ,ს. ფედერალისტებისაგან, თუ შავრაზმელებისაკან? ჯერ შარშანაც, როდესაც თქვენ, ბ.ნნო ფედერალისტებო, მხურვალე მონაწილეობას იღებდით არჩევნებში, მაშინ არ იყავით ჩვენთვის ღირსეული და საშიში მეტოქე საარჩევნო ასპარეზზე, თორემ წელს ხომ თქვენ ბოიკოტისტები ხართ?

ასევე ითქმის შავრაზზელებზედაც. რახან არც ერთი იყო და არც მეორე, მაშ რისთვის უნდა მისცემოდა ს.-დემოკრატია უსაზღვრო სიხარულს?! ხალხმა 101 ათისთავი ამოირჩია; ხოლო ამდენი ათისთავების ამორჩევაში 1000 მეტ გლეხებმა მონაწილეობა მიიღეს. ეს არის ხალხის მხრით გულგრილობა“, როგორც თქვენ იწერებით, ბ. ხიტა? რატომ სტყუით უტიფრათ! ბ. ხიტას, ახალგაზრდა ფედერალისტს, ძალიან ადრე შეუთვისებია „ს. ფედერალისტების“ ფანდი—ისე არაფერი დაწერონ, რომ ს.-დემოკრატიას თავიანთი ჩლუნგი ისარი არ გადმოკრან. ხიტა რის ფედერატისტი იქნებოდა, პარტიული კრეტინიზმით შებორკილი, თუ ს. დემოკრატების წამოკვრაში თავის ძმა-ბიჭებს ჩამორჩებოდა!...

კიდეე ვიქნები.

—

საყულია. (ქ.ეთ. მაზრა). რეაქციისაგან ზურგ გამაგრებული „ბნელი ძალები“ აშკარათ შეუდგენ ხალხის ყვლეფას, თუ წინათ მემამულე სახნავ მიწას სანახევროთ აძლევდა მუშას და ესეც დიდი სიხარულით იღებდა ამ პირობებში, ახლა ეს პირობები დაკანონებულათ მიაჩნდა და შეცვლა ამ წესის უსამართლობათ. დღეს, როცა რევოლიუციის ტალღებმა ის იმ შეგნებამდი მიიყვანა, რომ წინანდელ პირობებში არ აიღებს ადგილებს, და თუ მემამულე არ მისცემს, ბოიკოტით გაუმასპინძლდება მას. მემამულეც დახელოვნდა, მათ მოთხოვნას არავითარ ყურადღებას არ აქცევს და რეპრესიული ზომებით არა თუ ნახევარ—მესამედს ჯერდება, ზედმეტსაც აფცქვნის მათ. რეპრესია კი ამ ვაჟბატონებისათვის ხომ ადვილი განსახორციელებელია, რადგან გვერდში უდგიათ „სტრაჟნიკები“, რომელთაც ერთი თვალის დაქნევის მეტი არ უნდათ, რომ მათრახით, კონდახით და ნაობახით დააჯილდოვონ ურჩი მუშები. ყველაზე უფრო რეპრესიების მოყვარულია აზ. დიმიტრი მესხი ს. ბაშში ბანკის ადგილების მოურავი. ამ ვაჟბატონმა გაზაფხულზე ჯერ საქონლების დაჭერა იწყო და სულზე თითო მანეთს ახდევინებდა, მერე გასცა ადგილები, დასამუშავებლათ და შემოსავლის ნაწილი გარიგების მიუხედავათ რამდენიც ნებავდა, იმდენი წაიღო. ვინ გაუბედავდა რამეს, როცა შეიარაღებულები გვერდს უშვენებენ. ალბათ ეს ქონდა მხედველობაში ჩვენს „ნაასასთავარს“, როცა საზოგადოებას უმტკიცებდა რვა „სტრაჟნიკის“ და არა ექვსის დაქირავებას. დიმიტრის მხარს უშვენებენ მწერალი ნიჟარაძე, ნიკიფორე მეძმარიაშვილი, სოფ. ოფშვითის ვექილი ასლან ნიჟარაძე და მღვდელი სამსონ ნიჟარაძე. სოფლის კანცელარიაზე, ეკლესიებსა და დუქნებზე გამათავისუფლებელი მოძრაობის გინებალანძღვა, დანოს-ჯაშუშობა ისეთ პირებზე, რომლებსაც თავისუფლების დროს ცოტა რამ უწყენინებიათ—აი ამ ვაჟბატონების დღევანდელი მოღვაწეობა. ერთმა, სახელდობრ, ნიკიფორე მეძმარიაშვილმა გასცა ვისთანაც ჯერ არს ღარიბი გლეხი ტყეშელაშვილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მის მოქმედებას უზნეობა უწოდა და მეზობლურათ გასწორება ურჩია.

14 ოკტომბერს მიხეილ სხვანაძემ მეზობლებს სადილი გაუმართა. სხვათა შორის „სტრაჟნიკებიც“ მიიწვია. საღამომდი დიდი მხიარულება ქონდათ. მერე „კარტოჟნიკები“ თამაშს შეუდგენ. ეს კი რაღაც მანქანებით „სტრაჟნიკებს“ არ ესიამოვნათ ერთს მივარდენ თოფითა და ხმლით და დიდი უბედურება დატრიალდებოდა, რომ არ გაქცეულიყვენ. რომ კითხეს რათ დაგვიშალეთო, კარტის თამაში გარყვნილებაა და ნებას არ მოგცემთო, რაც ჩვენი კარტოჟნიკებისათვის, მე მგონია დიდი უბედუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება იქნება. ჩანს ახალ მოდის „სოფლის კუნწულები“ არ ხუმრობენ, მარა უფრო კარგი იქნება, რომ ორი-სამის სიტყვით სოფლელებს არ აწიოკებდენ...

ხიზიშვილი.

—

ს. კუხი. ჩვენი მამასახლისი ესტატე „ქოჩორა“ ერთი იმ მამასახლისთაგანია, რომლის მსგავსი ბევრია ახლა ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში. ის ღვიძლა შვილია ჩვენი დროის შავ-ბნელ რეაქციის! მას გვერდში ამოუდგენ დავით წერეთელი, სოფლის წურბელა დიმიტრი კაკაბაძე და სხვები. ძნელია ჩვენი „ქოჩორას“ და მისი დამქაშების მოღვაწეობის აწერა, რადგან ეს ვაჟბატონები ისე აკეთებენ „საქმეს“, რომ ბევრი მათი საძაგლობის დამტკიცება შეუძლებელია ახლახან. მაგრამ ბევრია ისეთი რამეც, რაც ნათლათ ამტკიცებს, რომ ეს ვაჟბატონები—ხალხის მოკეთეები კი არ არიან, როგორც თვითონ ამბობენ, არამედ ნაძირალები...

დავით ნიჟარაძემ სოფელ გუბს და ერთ ნაწილ კუხს ორასი მანეთი დაადვა ადგილების ღალის ფასი. ბევრი ეწვალა დავითი, მარა ვერ მოახერხა ამ ფულების აღება. სამაგიეროთ ეს ადვილათ მოახერხა ჩვენმა ესტატემ. შეესია სოფელს თავისი მომხრეებით და ორასი მანეთის მაგივრათ შვიდასი მანეთი ამოაცალა გაღატაკებულ ხალხს. ამას წინათ რაღაც საქმე შეემთხვა ესტატეს და ერთი კვირით დააკავეს; დაბრუნდა თუ არა, შემოგვიტია: თქვენს საქმეზე ვიყავი და რვა თუმანი დამეხარჯაო. ეს დაადასტურეს მისმა დამქაშებმა; ვინ დაუჯერებდა, მარა რას გავაწყობდით, შემოგვესიენ და წაიღეს.

ახლა სულიერი მამებიც წამოიჭიმენ და ისინიც სულს გვართმევენ. „შიმშილით ვიხოცებით, დრამის ფული მოგვეციოთ —გაიძახიან მღვდლები. როდის იყვენ მაძღარნი, რომ ახლა არ შიოდეს მათ გაუმაძღარ მუცლებს! ესტატე დაფაცურობს, დრამის ფულს აგროვებს. ალბათ ტაბლას ერთათ თუ შეექცევიან, თორემ რის გულისათვის შეიწუხებს თავს. არც ჩხრეკა-ძანიავებას გვაკლებს ესტატე. შეუვარდება მისგან ათვალწუნებულ გლეხს, დაუნიავებს სახლ კარს, დაიჭერს და შემდეგ „მოხერხებით“ ათავისუფლებს. რომელი ერთი უნდა დავწეროთ, ვიტყვით მხოლოთ, რომ ერთი დრო არავის შერჩენია...

ეკალა.

—

დ. ლანჩხუთი. ნ. ებ—ძემ და უ—ძემ, ხმა გაავრცელეს, რომ ნ. მხეიძე ჯაშუშიაო. ადგილობრივ ამხანაგთა კრებამ, რომელსაც დაესწრო 12 კაცი გადამწყვეტი ხმით და 25 სათათბიროთი, განიხილა ნ. ებ - ძის მიერ წარმოდგენილი საბუთები და ფარული კენჭის ყრით ერთხმათ დაადგინა, რომ ეს საბუთები არამც თუ ჯაშუშის დასარქმევათ, არამედ ეჭვის ასაღებათაც კი საკმარისი არ არის. ნ. მხეიძე ცნობილია როგორც სანდო ამხანაგი. იმედია ამის შემდეგ მაინც ის პირნი, რომლებიც სარგებლობენ დროთი და პირადი ინტერესების გამო ჩირქს სცხებენ სხვას, გაკმენდენ ხმას და ცილის წამებას თაკს დაანებებენ.

დამსწრე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. კოხრეიძე.**

მატარებლების მიმოსვლა:

ქუთაისში მოდის ჩვენებური საათით:

1)	თფილისიდან დილის .	8	საათსა და	20 წამზე.
2)	. ნაშუადღევს	6	„	22 „
3)	„ საღამოს .	7	„	52 „
4)	ბათუმიდან შუადღის .	12	„	20 „
5)	„ ნაშუადღევის .	3	„	56 „
6)	„ საღამოს .	11	„	02 „
6)	დილის . . .	10	„	38 „
7)	დილის . . .	9	„	50 „

ქუთაისიდან გადის ჩვენებური საათით:

1)	თფილისისაკენ დილის .	10	საათსა და	59 წამზე.
2)	„ ნაშუადღევს	2	„	38 „
3)	„ საღამოს .	9	„	50 „
4)	ბათუმსა და ფოთისაკენ დილის	6	„	58 „
5)	„ „ ნაშუადღევს	5	„	04 „
6)	„ „ „	6	„	47 „
7)	შორაპნისაკენ ნაშუადღევს .	4	„	08 „
8)	ტყიბულისაკენ „ .	4	„	30 „

კორესპოდენტთა საყურადღებოთ.

როგორც ჩვენს რედაქციაში, ისე სხვებისაში ბევრი მასალა მოდის, რომლებზედაც 1, 2, 3, 4, 5, და ხანდახან მეტი 7 კ. მარკები იხარჯება. ასეთი ხარჯი ისედაც ხელმოკლე კორესპოდენტთათვის საგრძნობელია, რაც ერთი ან ორი 2 კ. ბანდეროლით შეიძლება აიცილონ. ფოსტებში ყველგან იყიდება ეგრეთ წოდებული **მარკიანი ბანდეროლი** $1^1/_2$ კ. და $2^1/_2$ კ. აი ამ ბანდეროლში გახვევთ სარედაქციო წერილს, რომელსაც თავები ღია ექნება და ისე გამოგზავნით. ერთი $2^1/_2$ კ. ბანდეროლი წამოიღებს იმოდენა წერილს, რომლის დახურულ ბარათით გამოგზავნას მოუნდება 14, 21, 28, 35 და 42 კაპ.

ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა ქუთაისში.